ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 21 აპრილი, 2020 №90 (8354) ფასი: 60 თეთრი

„ტელევიზორს უყურებდა, როცა უცებ ფანჯარა ჩაიმსხვრა და ტყვია პირდაპირ თავში მოხვდა“



გვ.5

თამუნა ანთელავას მკვლელობისთვის პოლიციელი სიმონ გაბრიაძე დააკავეს

„ორი ფსევდომესია ბიძინა და მიშა ერთმანეთს ეჯიბრებიან, ეს „ნაც-ქოცური“ პინგ-პონგია“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „როგორც ნიანგი და ჩიტი კოლიბრი ნახულობენ სარგებელს ერთმანეთით, ასე არიან ესენიც, ბიძინაა ნიანგი, კოლიბრი – მიშა“

„ივანიშვილი ცდილობს, ეპიდემიას ამოეფაროს და დიქტატურა დაამყაროს“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ხელისუფლებას შეთანხმების დარღვევის მცდელობა ჰქონდა, როდესაც ოქრუაშვილს ხუთი წლით პატიმრობა შეუფარდეს, მაგრამ ამას ამერიკისა და ევროკავშირის ელჩების მხრიდან მკვეთრი რეაქცია მოჰყვა“

გიორგი ვაშაძე: „გახარია იტყუება!“

10 მაისს კარანტინს ვერ მოხსნიან!

კრიზისმენეჯერობა ტელევიზიით პოზირება არ არის

გვ.3

გვ.4

გოჩა ბარნოვი: „პროცესებს დღესაც პატრიარქი მართავს“

„საპატრიარქო იღებს დივიდენდებს, იღებს სერიოზულ ძალაუფლებას და გავლენას ხელისუფლებაზე“

რუსეთი აფხაზეთზე რეგიონის სახელმწიფოებთან ვეღარ გარიგდება

გვ.4

რა ინფორმაციას ავრცელებს საქართველოს შესახებ კრემლის პროპაგანდა?

ISSN 1987-9385

2 სააკაშვილი: „მოგეცით ხელისუფლების დროებითი წარმომადგენლის სტატუსი და დიდ ფულს ჩამოვიტან“

5 შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 139 ფაქტი გამოავლინა

5 სააკაშვილის ბიბლიოთეკაში ხანძრის გაჩენისთვის ბაჩო ქათამაძე დააკავეს

6 გერმანიამ ჩინეთს კოვიდ 19-ის გამო 130 მილიარდი ევრო მოსთხოვა

გია ხუხაშვილი: „ორი ფსევდომესია ბიძინა და მიშა ერთმანეთს ეჯიბრებიან, ეს „ნაც-ქოცური“ პინგ-პონგია“

„როგორც ნიანგი და ჩიტი კოლიბრი ნახულობენ სარგებელს ერთმანეთით, ასე არიან ესენიც, ბიძინაა ნიანგი, კოლიბრი – მიშა“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა იდეით და ხელისუფლებას მიმართა, რომ დროებით ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენლად დანიშნონ. სააკაშვილი პირობას დებს, რომ ამ შემთხვევაში ის მოიზიდავს საერთაშორისო დახმარებებს და გადაარჩენს საქართველოს ეკონომიკას, ვინაიდან მას ბევრი ნაცნობი ჰყავს. ამბობს, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თავად ამბობდა, რომ სააკაშვილი მისი მეგობარი იყო.

ეს არის პოლიტიკური თამაშის ნაწილი თუ რეალური სურვილი, რომ ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანოს, უნდა მიიღოს თუ არა ეს შეთავაზება „ქართულმა ოცნებამ“, გამოჩნდა თუ არა შერჩევითი სამართალი კარანტინის დროსაც და აქვს თუ არა მოლოდინი, რომ ტრაგედია, რა დროსაც შუახნის ქალის მკვლელობა მოხდა და რომელშიც პოლიციელი ფიგურირებს, ბოლომდე იქნება გამოძიებული? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.

– სააკაშვილის განცხადება თქვენ როგორ გაიგეთ, ეს არის მისი მხრიდან წინასაარჩევნოდ პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების მცდელობა, თუ ეს არის რეალურად მისი სურვილი, რომ ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანოს?

– რა არის იცით, ეს არ არის რეალური სურვილი იქიდან გამომდინარე, რომ, ბუნებრივია, ამ დახმარებას ეს ხელისუფლება არ მიიღებს. შესაბამისად, ის რასაც არ უნდა ფიქრობდეს და რაც არ უნდა გულწრფელი იყოს, ფინალი გასაგებია. ეს არის პოლიტიკური პინგ-პონგი და მეტი არაფერი. ახლა ხელისუფლება ზის და ფიქრობს, თავისი კრეატიული ჯგუფი – შალვა რამიშვილი და ვიღაცები დასმული ჰყავს და ფიქრობენ, რომ ენაკვიმატიანად როგორ უპასუხონ სააკაშვილს. ცდილობენ, რომ მაქსიმალურად კრეატიული პასუხი გასცენ. პასუხი რომ ნეგატიური იქნება, ამას, მე მგონი, ბევრი მსჯელობა არ სჭირდება და ეს ყველასთვის გასაგებია. ეს არის კლასიკური „ნაც-ქოცური“ პინგ-პონგის კლასიკური გაგება, ის თუ როგორ ეჯიბრება ერთმანეთს ორი მესია ქვეყნის მშენებლობასა და გადარჩენაში. სინამდვილეში კი ორივე ფსევდომესიაა.

– კრეატივში „ქართული ოცნება“ შალვა რამიშვილის და მისი იდეების იმედად არის დარჩენილი?

– შალვა რამიშვილი პირობითად ვთქვი, თორემ შალვა რამიშვილი სულ არ არის საინტერესო. ეს მაგალითისთვის მოგიყვანეთ, მაგრამ ფიქრობენ, როგორ შეფუთონ უარი. სააკაშვილს მიაჩნია, რომ წაუგებელ თამაშს თამაშობს. გასაგებია, რომ ხელისუფლება უარყოფითად უპასუხებს, მაგრამ რაღაც მარცვალს ჩააგდებს ადამიანებში, რომ აი, ვთავაზობ დახმარებას, მაგრამ ესენი უარს ამბობენ, იმის მიუხედავად, რომ თვითონ არაფერი შეუძლიათ. შესაბამისად, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ამოცანაა. ეს არის პოლიტიკური ბრძოლა, აქედან ბიძინა და იქიდან მიშა.

– რეალურად რას იღებს სააკაშვილი ამით ამომრჩევლის თვალსაზრისით?

– რა არის იცით, მოვლენების განვითარების კვალდაკვალ მან შეიძლება მიიღოს რაღაც. იმიტომ, რომ გასაგებია, ხელისუფლებას ექნება სერიოზული პრობლემები პოსტკრიზისულ პერიოდში სოციალური და ეკონომიკური რისკების სახით. მე ვფიქრობ, რომ სერიოზული კაპიტალის მობილიზება გაჭირდება, რადგან დონორები საკუთარი პრობლემების გადაჭრით იქნებიან დაკავებულები და ჩვენ ნუ გვექნება ილუზია, რომ ამ მხრივ ჩვენი პრობლემები სერიოზულად და სისტემურად გადაწყდება. აქედან გამომდინარე ეს მოცემულობაა და წამოსაძახებელი ექნება სააკაშვილს, რომ აი ვთავაზობდი, არ მიიღეს, თვითონ არაფერი არ შეუძლიათ და მოსახლეობა სერიოზულად დაზარალდა იმიტომ, რომ ამათმა უარი თქვეს ჩემთან თანამშრომლობაზე. ჩვეულებრივი სქემაა. მე ვფიქრობ, რომ შეიძლება აქედან პოლიტიკური დივიდენდები მიიღოს.

– გამორიცხავთ, რომ ხელისუფლებამ მიიღოს სააკაშვილის ასეთი შეთავაზება?

– ილუზიაა ეს, რომ ჩვენი ხელისუფლება სააკაშვილთან ითანამშრომლებს. ისიც ილუზიაა, რომ სააკაშვილი ითანამშრომლებს ბიძინა ივანიშვილთან. ბიძინა და მიშა ჩამოყალიბდნენ კლასიკური გაგებით სიმბიოზებად, რომლებიც ბუნებრივი ანტაგონისტები არიან ერთმანეთის, მაგრამ თან ერთმანეთს კვებავენ და ერთმანეთი სჭირდებათ. უცნაური პარადოქსია, მაგრამ ასეთი პარადოქსული სიმბიოზები ბუნებაში არსებობს. მაგალითად, ასეთია ნიანგი და ჩიტი კოლიბრი. ისინი ბუნებრივი ანტაგონისტები არიან, მაგრამ კოლიბრი აჯდება ნიანგს კბილებზე და უწმინდს კბილებს. ანუ თავის სარგებელს ნახულობს ნიანგი და თავის სარგებელს ნახულობს ჩიტი კოლიბრი. წესით უნდა ჭამდეს ნიანგი კოლიბრს, მაგრამ არ ჭამს, რადგან სჭირდება. აი ასე არიან ბიძინა და მიშა. დღევანდელი მდგომარეობით კოლიბრი არის მიშა და ნიანგი არის ბიძინა, ხვალ შეიძლება პირიქით იყოს. პირიქით უკვე იყო 2012 წლამდე.

– დღეს არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებასთან დაკავშირებით თუ დაინახეთ გეგმები ან რაიმე სახის მუშაობა კრიზისიდან გამოსვლის თვალსაზრისით?

– არა. სად უნდა დამენახა მე, როდესაც ხელისუფლებას თავად არაფერი არ უთქვამს.

– მაგალითად, ისმის საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებებზე, იქ იბიარდმა გამოყო თანხა, აზიის განვითარების ბანკმა და ა. შ.

– ფულზე ლაპარაკი არ ნიშნავს გეგმას. ფული არის სხვა რამე და გეგმა – სხვა. გეგმა არის ის თუ რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს ხელისუფლება. ფული არის ინსტრუმენტი.

– ანუ ინსტრუმენტი აქვთ და გეგმა არ აქვთ?

– არ ვიცი ინსტრუმენტი აქვთ?! ეგეც არ ვიცით, მაგრამ ინსტრუმენტი რომც ჰქონდეთ, თუ არ იცი რაში გამოიყენო ის ინსტრუმენტი, შეიძლება უკუშედეგი მიიღო. იმიტომ, რომ მთავარი ინსტრუმენტი კი არა, მთავარი მისი სწორად მოხმარებაა. მე ნაჯახი რომ მომცენ, იმის ნაცვლად რომ შეშა დავჩეხო, შეიძლება სერიოზული თვითდაზიანება მივიღო.

– კომენდანტის საათის პირობებში შერჩევითი სამართალის ნიშნები არ დაინახეთ, როცა ვიღაცას 9 ტიტის გაყიდვისთვის აჯარიმებენ, ვიღაცის სამართალდარღვევა კი უყურადღებოდ რჩება?

– ეს გასაკვირი არ არის. მე არ მახსოვს ჩვენს ისტორიაში პერიოდი, როდესაც სამართალი ყოფილა სამართლიანი.

– ეს გასაგებია, მაგრამ რამდენად ნორმალურია? ოდესმე ამ წრიდან ხომ უნდა გამოვიდეთ?

– კი, რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება ამბობს, რომ რაღა მაინცდამაინც მე მთხოვთო. მე დამაცადეთ და შემდეგ მოითხოვეთო.

– აღდგომის ღამეს რა ტრაგედიაც მოხდა ვაჟა-ფშაველაზე, როდესაც სახლიდან ისროლეს ტყვია და სხვა სახლში მოხვდა ქალს და მოკლეს, ცნობილია, რომ ეს მკვლელობა პოლიციელის სახლიდან მოხდა. იქნება ეს ფაქტი სრულად გამოძიებული?

– ამას რად უნდა ლაპარაკი და აქ ორი აზრი არ არის, რომ ეს საქმე უნდა იყოს ბოლომდე გამოძიებული. მე მგონი ხელისუფლება ვერც გაბედავს ამის გამოუძიებლობას. ამის არგამოძიება წარმოუდგენელია.

– თუმცა სხვა მკვლელობებიც ხომ გვინახავს და ჩაფარცხული საქმეებიც?

– კი. მაგრამ, მე მაინც იმედი მაქვს, რომ ეს საქმე აქამდე არ მივა.

– ბოლოს გვითხარით, თქვენი რჩევა რა იქნება ხელისუფლების მისამართით იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც ქვეყანაში ხდება?

– რა იქნება და მათ უნდა შეიმუშაონ საშუალოვადიანი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები. როგორც კრიზისულ პერიოდზე გათვლილი, ისე პოსტკრიზისულ პერიოდზე. ეს ყველაფერი ძალიან კარგად უნდა ჰქონდეთ გაწერილი. ფულის რაოდენობაზე კი არ უნდა ილაპარაკონ, არამედ თვითონ საკუთრივ გეგმაზე უნდა ილაპარაკონ და იცოდნენ, რა ნაბიჯების გადადგმას აპირებენ, ეს არის ჩემი რჩევა. იმისათვის, რომ ეს გეგმა გაკეთდეს, მათ სჭირდებათ საზოგადოების კონსოლიდაცია, არა სტერილიზაცია, რომ ჩვენ ახლა იმათ არ დაველაპარაკებით და ამათ არ დაველაპარაკებით, არამედ პირიქით, მათ ინტერესებშია, რომ რაც შეიძლება ფართო დისკუსია გამართონ ამ თემაზე. მათ შორის პოლიტიკურ და სამოქალაქო ელიტასთანაც, იმისათვის, რომ მოხდეს პასუხისმგებლობების გადანაწილება და კონსოლიდირებული გადაწყვეტილებები იყოს მიღებული.

სააკაშვილი: „მოგეცით ხელისუფლების დროებითი წარმომადგენლის სტატუსი და დიდ ფულს ჩამოვიტან“

ხელისუფლებამ ყოფილ პრეზიდენტს დასცინა

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მთავრობას ახალი ინიციატივით მიმართავს.

სააკაშვილი მზადაა აშშ-ის, ევროპული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ლიდერებთან მოლაპარაკებები აწარმოოს და საქართველოს ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში დაეხმაროს.

– გთავაზობთ, გამომიყენოთ უცხოური დახმარების მისაღებად. მოვივლი ყველა ევროპულ დედაქალაქს. ბევრ საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებს. დონალდ ტრამპი თავის მეგობრად მაცხადებდა ბოლო წლები, ევროპის ლიდერებს ყველას ვიცნობ.

მოდით, იურიდიულ კამათზე შემოდგომამდე დავაწესოთ მორატორიუმი, მომეცით საქართველოს ხელისუფლების დროებითი წარმომადგენლის სტატუსი, დამახმარეთ საელჩოები და მათი ოფიციალური პირები და გპირდებით, იმდენ დახმარებას ჩამოვიტან, რომ საქართველოს ეკონომიკა გადარჩეს.

მე ეს ერთხელ უკვე გავაკეთე და კიდევ შემიძლია გავაკეთო. მომენატრა ჩემი ერისთვის რაიმის გაკეთება და ახლა ამის საჭიროება არის, ფიზიკური გადარჩენის საფრთხის წინაშე ვართ. ახლა საქართველოსკენ დიდი შიმშილის, დიდი გაჭირვების ტალღა მოდის და ეს რომ ავიცილოთ, მომეცით სტატუსი და დახმარების საშუალება, – განაცხადა სააკაშვილმა.

მის განცხადებას ხელისუფლებამ გუშინ, 20 აპრილს, უპასუხა.

– სააკაშვილის გადამკიდე შეიძლება ის თანხებიც წაგვართვან, რასაც გვაძლევენ, ამიტომ ამ საკითხზე სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა.

– ოდნავ მაინც, წარმოდგენა თუ აქვს ვინმეს, რასთან არის დაკავშირებული ამ თანხების მოზიდვა, მაშინ სააკაშვილის გადამკიდე, შეიძლება ის თანხებიც წაგვართვან, რასაც გვაძლევენ, ამიტომ ამ საკითხზე სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ, სხვა ჟანრიდანაა.

ერთადერთი, ვიცი, რომ რამდენსაც მეტს ჩაერევა, შანსია მეტი დავკარგოთ, ამიტომ გვაცადონ. ჩვენ ჯობია ჩვენ საქმეს მივხედოთ. მათ კი პოპულიზმი გააგრძელონ, ეს მათი საქმეა. ჩვენ კრიზისიდან გამოსვლის გეგმაც გვაქვს, თანხების მოზიდვის გეგმაც და ეკონომიკის შემდგომი სტიმულირების გეგმაც, რომლის ნაწილიც საზოგადოებამ იცის და ნაწილს უახლოეს დღეებში გავაცნობთ. შესაბამისად, ესაა ჩვენთვის მთავარი მიზანი, – აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა „იმედის“ ეთერში სატელეფონო ჩართვის დროს.

დაახლოებით იგივე თქვა ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ.

– სააკაშვილის განცხადება პოპულისტურია და ძალიან არასერიოზულია ეს ყველაფერი. ჩვენმა ხელისუფლებამ, ჩვენმა გუნდმა უპრეცედენტო მხარდაჭერა მოიპოვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, დონორებიდან და საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ეს წლები ეკონომიკურ რეფორმებს განუხრელად ვახორციელებდით, ერთ-ერთი პირველი ქვეყანა გავხდით მსოფლიოში, ვისთანაც ამ პანდემიის პერიოდში სავალუტო ფონდმა თავისი პროგრამა განაახლა, – განაცხადა ნათია თურნავამ.

მინისტრის შეფასებით, სავალუტო ფონდის გადაწყვეტილება იყო ე.წ. „მწვანე შუქი“ სხვა დონორებისთვის, რომლის შედეგადაც, საქართველომ გლობალური პანდემიის და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური გამოწვევების მიუხედავად, საერთაშორისო დონორებისგან, ჯამში, 3 მლრდ აშშ დოლარის ფინანსური რესურსის მობილიზება მოახდინა.

– ეს დახმარება უპრეცედენტოა დღეს, როდესაც მსოფლიოს ასე უჭირს, საქართველოს ზომის ეკონომიკისთვის. ასე რომ, წინა ხელისუფლების გამოცდილება, როდესაც მათ 2008 წელს 4 მლრდ-ის ოდენობის სესხი მოიზიდეს, დიდი ვერაფერი მისაბაძია იმიტომ, რომ 2008 წელს მსოფლიო დღევანდელი მასშტაბის ეკონომიკური კრიზისის წინაშე არ იდგა.

დღეს არსებული გლობალური პანდემია, რომელიც დაკავშირებულია მსოფლიოში ეკონომიკური აქტივობის მასობრივ ლოქდაუნთან, აბსოლუტურად არაპროგნოზირებადია როგორც დროის, ასევე შედეგების თვალსაზრისით და შესაბამისად თითოეული დოლარის უცხოური დახმარების მოზიდვა გაცილებით მეტ ძალისხმევას საჭიროებს, – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

საგანგებო მდგომარეობის გახანგრძლივებას პარლამენტი 22 აპრილს დაამტკიცებს

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის ინფორმაციით, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გახანგრძლივების გადაწყვეტილებას პარლამენტი, სავარაუდოდ, 22 აპრილს დაამტკიცებს.

მისივე განმარტებით, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის მოქმედება წყვეტას არ განიცდის და მისი გახანგრძლივების შესახებ გადაწყვეტილება მაშინვე შევა ძალაში, როგორც კი პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი შესაბამის ბრძანებას ხელს მოაწერენ.

– ჩვენ ყველა ვხედავთ, რომ შიდა გავრცელების საფრთხე რეალობაა და ბოლო სტატისტიკური მონაცემებით, კოვიდ 19-ით დაავადებულთა რიცხვი მზარდია. შესაბამისად, ლოგიკურია და სრული პასუხისმგებლობით საჭიროა, რომ საგანგებო მდგომარეობა გაგრძელდეს. პრეზიდენტი და პრემიერი ერთად გამოაცხადებენ საგანგებო მდგომარეობას და პარლამენტი, სავარაუდოდ, 22 აპრილს დაამტკიცებს. ჩვენ ვხედავთ ამ ძალიან სერიოზულ გამოწვევას და ვიღებთ პასუხისმგებლობას.

სამწუხაროა, რომ ოპოზიცია პოლიტიკური სპეკულირებით არის დაკავებული, როდესაც ამ საკითხს ეკონომიკურ პროგრამას უკავშირებენ. თავად ძალიან კარგად ხედავენ, რომ მთავრობა ეფექტურად მოქმედებს ეკონომიკური პრობლემების მიმართულებით, 3 მილიარდი დოლარი უკვე მობილიზებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, რაც მიზნობრივად მოხმარდება ჩვენი ეკონომიკის გაჯანსაღებას და ასევე სოციალური მიმართულებით დაიხარჯება.

მინდა საზოგადოებას ავუხსნა, რომ უკვე აქამდე მოქმედი საგანგებო მდგომარეობა წყვეტას არ განიცდის, როგორც კი პრეზიდენტი და პრემიერი ხელს მოაწერენ ამ ბრძანებას, ის დაუყონებლივ შედის ძალაში და პირდაპირ გრძელდება საგანგებო მდგომარეობა. ამიტომ ვინმეს არ ეგონოს, რომ წყვეტა მოხდება და საკუთარი უფლებები აღუდგებათ, – აღნიშნავს ირაკლი სესიაშვილი.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიორგი ვაშაძე: „გახარია იტყუება!“

10 მაისს კარანტინს ვერ მოხსნიან!

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გიორგი ვაშაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, საგანგებო მდგომარეობა გახანგრძლივდა. რამდენიმე დღით აკრძალულია ავტომობილებით გადაადგილებაც. ამ ფონზე ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლებას არ აქვს ეკონომიკური და ზოგადად სამოქმედო გეგმა. რას იტყვით თქვენ? რა ხარვეზებია?

– პირველი ის, რომ ხელისუფლება ძალიან უპასუხისმგებლოდ იქცევა და ეს აღგომის დღესასწაულმაც აჩვენა. მისთვის მთავარია პოლიტიკური ქულების ჩაწერა და არა ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. მეორეც ის, რომ სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს მასობრივი ტესტირება და აქედან გამომდინარე უვადო საგანგებო მდგომარეობასა და კარანტინში ვიმყოფებით. მსოფლიოს მაჩვენებლები აჩვენებს, რომ მილიონ ადამიანზე 20 ათასი ტესტი მაინც უნდა იყოს ჩატარებული, რომ საერთოდ საუბარი დაიწყოს კარანტინის და საგანგებო მდგომარეობის მოხსნაზე. სხვა გზა არ არის, საგანგებო მდგომარეობა გაგრძელდება, გაგრძელდება ყოველგვარი გეგმის გარეშე, იმიტომ, რომ არ ვიცით, შემდგომ 20 დღეში თუ რამდენი ხანიც გაგრძელდება საგანგებო ვითარება, რა მდგომარეობა გვექნება. რას მოიმოქმედებენ, რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს ხელისუფლება, რომ გამოვიდეთ ამ კრიზისიდან. მთავარი პრობლემა, შიმშილის პრობლემა, უფრო და უფრო მწვავე ხდება ჩვენს ქვეყანაში.

კრიზისმენეჯერობა ტელევიზიით პოზირება არ არის

– აღდგომის დღესასწაულმაც აჩვენა ხელისუფლების უპასუხისმგებლობაო და რას გულისხმობდით? სასაფლაოები დაკეტეს, წესები გაამკაცრეს, ტაძრები უნდა დაეკეტათ?

– ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში საქართველო, რომლის ხელისუფლებამაც დაუშვა, რომ ადამიანები მისულიყვნენ ეკლესიაში და შეექმნათ საფრთხე ამ ვირუსის გავრცელების. ამაზე კი პასუხისმგებელი ხელისუფლებაა. ეკლესიამ მიიღო თავის გადაწყვეტილება, თუმცა მთავარი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ენიჭება. ხომ ვხედავთ, ბიბისი, სიენენი, ყველა ამაზე საუბრობს, იმიტომ რომ გაოცებულია სრულიად მსოფლიო, ამ გადაწყვეტილებით. ეს უპასუხისმგებლობაა.

– გაქვთ მოლოდინი, რომ გაიზრდება ინფიცირებულთა რიცხვი?

– მე ვფიქრობ, რომ ინფიცირებულთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენ რეალურად ციფრი გვაქვს, იმიტომ, რომ ტესტირება არ ჩატარებულა ქვეყანაში. სომხეთზე ოთხჯერ ნაკლები, აზერბაიჯანზე ათჯერ ნაკლები ტესტია ჩატარებული საქართველოში. აქედან გამომდინარე, ჩვენ პიკს ველოდებით და საერთოდ აბსურდია, რაც ხდება. გუშინ ოთხი შემთხვევა იყო, დღეს ხუთი, მაშინ საერთოდ გადაგვივლია ვირუსი. მაშინ საგანგებო მდგომარეობას რატომ ვაგრძელებთ?! არაადეკვატურია ყველაფერი ეს, რაც ხება. ძალიან საგულისხმოა ციფრი, რომელსაც აქვეყნებენ.

– რა ციფრს გულისხმობთ?

– რომ სადღაც 600-მდე ადამიანი დაკვირვების ქვეშ არის სტაციონალურ დაწესებულებებში. რას ნიშნავს დაკვირვების ქვეშ? ჩაუტარეს ტესტირება? დიაგნოსტიკა? თუ ჩაუტარეს, დადებითი პასუხია თუ უარყოფითი?! არ ჩატარებია ამ ხალხს და აქედან გამომდინარე დაკვირვების ქვეშ არის? ისევ და ისევ თერმომეტრით დარბიან სამართალდამცველები და სამხედროები. ეს არის ერთადერთი რესურსი და მექანიზმი.

– ოპოზიციის ერთმა ნაწილმა ბრალი დასდო ხელისუფლებას, რომ აყალბებენ მონაცემებსო. თქვენც ასე ფიქრობთ?

– გაყალბებაც არის და გადაყალბებაც. როცა რეალურ სურათს შენ ვერ აჩვენებ, იმიტომ, რომ ტესტირება არ ტარდება ქვეყანაში, რა ციფრებს უნდა ვენდოთ?!

– შესაძლოა, ბევრია ამ ვირუსის მატარებელი ისე, რომ თვადაც არ იცის?

– რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ ვიცით, რომ შემთხვევების ნახევარი არის უსიმპტომო. ყველაზე დიდი საფრთხე ის არის, რომ მათ ეს ვირუსი გადასდონ რისკ ჯგუფების მქონე ადამიანებს. აი მაშინ რა ეშველება ქვეყანას?!

– ჯერჯერობით, 10 მაისამდე გახანგრძლივდა საგანგებო მდგომარეობა. რა იქნება მერე? რამდენად ზარალდება ეკონომიკა? სამუშაო ადგილებს რაც ემართება, ყველა ვხედავთ.

– ჩვენ ყოველდღე ვკარგავთ მილიონობით ლარს. ამ ბოლო კარანტინმა, მას შემდეგ რაც მანქანებით გადაადგილებაც აიკრძალა, აქამდე ვკარგავდით 70-დან-80 მილიონამდე ლარს ეკონომიკაში ყოველდღიურად, ახლა ვღარიბდებით 100 მილიონი ლარით ყოველდღე. ეს არის მინუს ასი მილიონი ლარი ეკონომიკაში ყოველდღე. ეს არის მინუს სამუშაო ადგილები, ხელფასები, შემოსავალი, გაღარიბებული ადამიანები.

– როდემდე გაუძლებს ამ ყველაფერს ჩვენი ეკონომიკა?

– რაღა გაძლება ჰქვია ამას. უმძიმეს მდგომარეობაში ვართ.

– პრემიერი აცხადებს, რომ სერიოზული საერთაშორისო დახმარება მოდისო...

– ამ დახმარების ციფრებზე მე ვაშინგტონთან მაქვს საუბრი და სადღაც ორ დღეში მექნება ზუსტი მონაცემები. ჩემი ინფორმაციით, ბევრი ტყუილია იმაში, რაც განაცხადა გახარიამ. ამიტომ იყო, რომ ძალიან ზოგადად დაასახელა ეს ციფრები და კონკრეტულად ვერ თქვა. რეალურად ვერც ჩვენ გავიგეთ რა დახმარებაზეა საუბარი. ჯერ სამ მილიარდ-ნახევარი დავთვალეთ, მერე სხვა ციფრები ითქვა. მოკლედ, დახმარება მნიშვნელოვანია, დახმარების გარეშე ვერ გადავრჩებით. ამიტომ არის, რომ ოპოზიციურმა პარტიებმაც მივმართეთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუციებს, მაგრამ აქვე მეორე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გვესმოდეს ჩვენ, რომ მნიშვნელოვანია რეალური სურათი ვიცოდეთ და არა ის, რომ მოლოდინები შევქმნათ და მოვატყუოთ ხალხი. ვთქვათ რეალურად, სამი მილიარდია თუ 500 მილიონი, ვიცოდეთ, რომ მხოლოდ ეს არის და ამდენი უნდა ვიმყოფინოთ, რომ ეს კრიზისი დავძლიოთ. თუ ჩვენ არასწორად ვგეგმავთ, ცრუ მონაცემებზე დაყრდნობით, ეს კიდევ უარეს შედეგს გამოიწვევს.

– არ გვაქვს სრული სურათიო აცხადებთ. როდემე უნდა გაგრძელდეს კარანტინი, არ მოხსნიან 10 მაისს?

– ვერ მოხსნიან. კარანტინი 10 მაისს ვერ მოიხსნება ვერანაირად, პირდაპირ გეუბნებით. იმიტომ, რომ ჩვენ 10 მაისამდე ვერ მოვასწრებთ იმდენი ტესტირების ჩატარებას, ადამიანებისთვის, რისკ ჯგუფებისთვის, საქართველოში, რომ შესაძლებლობა იყოს კარანტინის მოხსნის. ეს უბრალოდ კიდევ ერთი გადავადებაა და მეტი არაფერი. კიდევ ერთხელ ვამბობ, საქართველოში თუ ამ ტესტირებას დავიწყებდით დაახლოებით ერთი თვის წინ, როდესაც მე ამაზე ავტეხე განგაში, მაშინ ჩვენ გვჭირდებოდა სადღაც 40-50 ათასი ტესტის ჩატარება ქვეყანაში იმისთვის, რომ კარანტინი მოგვეხსნა.

– დღევანდელი მონაცემებით რა ხდება?

– დღეის მონაცემებით თუ შევადარებთ სხვა ქვეყნებს, გავრცელების არეალი გაფართოებულია ქვეყანაში და, სამწუხაროდ, ჩვენ დავკარგეთ თვეზე მეტი. ხელისუფლება გვიმტკიცებდა, რომ თურმე ტესტები არ არის საჭირო. მთელი მსოფლიო გაგიჟდა ამაზე. მთელი მსოფლიო ტესტებს ატარებს და საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ არა ეს არ გვჭირდება. გახსოვთ გახარიას განცხადებები ჩემს მიმართებაზე, რომ პანაცია არ არის ტესტირება. აქედან გამომდინარე, ჩვენ ეს დრო დავკარგეთ. ამიტომ მე ვფიქრობ, დღეის მონაცემებით 100-120 ათასი ტესტი მაინც უნდა ჩატარდეს ქვეყანაში, რომ კარანტინი მოიხსნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მოგვიწევს უვადოდ კარანტინის გაგრძელება.

– მაინც რამდენ ხანს შეიძლება რომ გაგვიგრძელდეს კარანტინი?

– არ ვიცით, იმიტომ, რომ არანაირი სამოქმედო გეგმა არ არსებობს. ერთადერთი მე და ჩემმა გუნდმა გამოვაქვეყნეთ სამოქმედო გეგმა კორონავირუსის დამარცხების. დღეების მიხედვით და თარიღებით გაწერილი კონკრეტული ქმედებები. ჩვენ სამოქმედო გეგმა სანამ არ გვექნება, საერთოდ ვადებზე საუბარი ზედმეტია. ვადა არსებობს მაშინ, როცა გაქვს რაღაცა სამოქმედო გეგმა. თუ სამოქმედო გეგმა არა გაქვს, ვადაც არ არსებობს და უვადოა ეს ყველაფერი.

– ტესტებზე საუბრობდით, ბატონო გიორგი და სპეციალისტები აცხადებენ, რომ 50/50-ზე ან უფრო ნაკლებიც შეიძლება იყოს ამ ტესტების სანდოობაო.

– არა, ეს ტყუილია, ამ დროისთვის ჩვენ უნდა გვქონდეს ლაბორატორიული ტესტებიც მასობრივად გაკეთებული ქვეყანაში დ არამარტო სწრაფი ტესტები. მაგალითად, ავსტრია, რომელმაც დაიწო უკვე კარანტინის მოხსნა და მაღაზიებმაც დაიწყეს მუშაობა, მათ გააკეთეს მასობრივი ტესტირება და სწორედ ამიტომ მოიხსნა კარანტინი. იგივე მოხდა ნორვეგიაში, რუმინეთში. სამხრეთ კორეაზე აღარც ვსაუბრობ, ამაზე თავის დროზე ვსაუბრობდი. ეს ხომ აღიარა ამირან გამყრელიძემაც და აბსოლუტურად ყველამ, რომ ტესტი არის აუცილებელი.

– რა გამოდის, რომ სულ მცირე, ერთი თვე ეს მკაცრი კარანტინი გაგრძელდება?

– არ ვიცით, ერთი თვე გაგრძელდება, ორი თუ სამი, ეს კაცმა არ იცის. თუ არ არსებობს კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები, მაშინ არ ვიცით, როდემდე გასტანს ეს სიტუაცია. დღეს ჩვენს ქვეყანაში კრიზისული სიტუაციის მენეჯმენტი არ არსებობს. დღეს პროცესი მართავს გახარიას და მთავრობას და არა პირიქით.

– არადა სულ გვესმის შეფასებები, რომ გახარია კარგი კრიზისმენეჯერიაო.

– ეს არის ილუზორული ზღაპარი, რომელიც თვითონ შექმნეს და ახლა თვითონ არიან ამ ზღაპრის მსხვერპლი. ყოველდღე უფრო და უფრო მეტი ნეგატივი გროვდება გახარიას და ხელისუფლების მიმართ. იმიტომ, რომ ხალხი პირველადი აფექტური მდგომრეობიდან გამოვიდა და ყველამ დაიწყო სიტუაციის გაანალიზება. ეფემერულია საერთოდ გახარიას კრიზისული მენეჯერობა. ერთი დაწერილი დოკუმენტი გახარიასგან გვინახავს ჩვენ. დაახლოებით 10 დღის სამოქმედო გეგმა, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას. კრიზისული მენეჯერობა, რა, მარტო ტელევიზიით პოზირებაა? ან გარკვეული შეზღუდვების დაწესება?! ასე შეიძლება ხალხს უთხრა, საერთოდ არ გამოხვიდეთ გარეთო და ეს არის კრიზისული სიტუაციის მართვა?!

– ანუ არ გაქვთ კარგი პროგნოზი?

– სამწუხაროდ, არა. ხომ ხედავთ, სიღრმისეული შეფასება გაკეთდა ქვეყნების და ჩვენ შეფასებაშიც ვერ მოვხვდით. სიტუაცია მძიმეა და სამოქმედო გეგმა არ არსებობს.

„ივანიშვილი ცდილობს, ეპიდემიას ამოეფაროს და დიქტატურა დაამყაროს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ხელისუფლებას შეთანხმების დარღვევის მცდელობა ჰქონდა, როდესაც ოქრუაშვილს ხუთი წლით პატიმრობა შეუფარდეს, მაგრამ ამას ამერიკისა და ევროკავშირის ელჩების მხრიდან მკვეთრი რეაქცია მოჰყვა“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე საუბრობს.

– ლაშა, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მიღწეული პოლიტიკური შეთანხმება საარჩევნო კოდექსზე რამდენად შესრულდება? თუ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება ხელსაყრელ ვითარებაშია და ის ამას გამოიყენებს?

– მე, იმედი მაქვს, რომ ახლა მაინც მოეგება გონს ივანიშვილი და ამ მეტად მნიშვნელოვან შეთანხმებას სისრულეში მოიყვანს. უკვე ჰქონდა ხელისუფლებას შეთანხმების დარღვევის მცდელობა, როდესაც ოქრუაშვილს ხუთი წლით პატიმრობა შეუფარდეს, მაგრამ ამას ამერიკისა და ევროკავშირის ელჩების მხრიდან მომენტალური და მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ გურამ დონაძე დღეს თავისუფალი არის იმიტომ, რომ მან ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მისცა ყალბი ჩვენება. 8 წლის განმავლობაში არავის არაფერი უთქვამს და არც ჩვენ არ გვქონია ინფორმაცია.

ამიტომ, იმედი მაქვს, თავად ივანიშვილს ეყოფა კეთილგონიერება და მიხვდება, რომ პანდემიას ვერ ამოეფარება და არ გაუვა ამ ქვეყანაში პოლიტიკური რეჟიმის გაძლიერება და ჩამოყალიბება.

მე, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილს არჩევნების გადადებაც უნდოდეს. თუმცა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მას ეს არ გამოუვა.

– რატომ არ გამოუვა?

– ამას არც ხალხი დაუშვებს და არც ოპოზიცია. პოლიტიკური მონოპოლიის დამყარების მცდელობის დიდი სურვილი, რასაკვირველია, აქვს, რისი ნიშანიც იყო თუნდაც პოლიტიკური რეპრესიების გაგრძელება, რაც გამოიხატა ოქრუაშვილის და სხვათა დაკავებაში 20 ივნისი მოვლენების გამო, მაგრამ ჩვენ მყისიერი რეაქცია ვიხილეთ ჩვენი პარტნიორი სახელმწიფოების. კი მძვინვარებს მსოფლიოში პანდემია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ყველაფრის უფლება აქვს. ეპიდემიის დასრულების შემდეგ დარწმუნებული ვარ, საზოგადოება ძალიან აქტიური იქნება. არ შეიძლება ეს ასე არ იყოს, რადგან ამას ხელს უწყობს ხელისუფლების მოქმედებები.

– კონკრეტულად?

– აშკარაა ორმაგი სტანდარტებით მოქმედება. შერჩევითი მიდგომის არაერთი მაგალითი ვნახეთ თუნდაც შეკრებასთან მიმართებით. მე, იმედი მაქვს, რომ ეს პროცესი მეტ-ნაკლებად მალე გაივლის და ხელისუფლებას არ გამოუვა ჩანაფიქრის შესრულება.

– რა არის ჩანაფიქრი?

– რომ მხოლოდ თავად მართოს ავტორიტარულ რეჟიმში. თურმე თავად ბიძინა ივანიშვილი განკაცებულა გახარიაში, ტიკარაძეში, ასეთი მიგნებაც კი ვნახეთ ამ ბოლო დროს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, თვითგადარჩენის ინსტინქტიდან გამომდინარე, ივანიშვილს მოუწევს სერიოზული დაფიქრება.

– ისევ შეთანხმებაზე მინდა გკითხოთ, თუ ჩავარდა, მოვლენათა რა განვითარება შეიძლება ამას მოჰყვეს?

– თუ მაინც აღმოჩნდება ივანიშვილი ზედმეტად მეოცნებე, რა თქმა უნდა, მასზე დაიწყება ფინანსური სანქციები. და ასეთი პირდაპირი მესიჯები უკვე იყო. ეს არის მთავარი საფრთხე, რაც მას ნამდვილად აშინებს. მისი უმთავრესი ღირებულების დაკარგვის შიშით, მას მოუწევს კონსტიტუციის შეცვლა, ეს, უნდა თუ არ უნდა, ასე იქნება. 120\30-ზე ეს შეთანხმება არსებობს და მას უკან ვერავინ წაიღებს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეპიდემიის საფრაქვეშ ის ვერ დაამყარებს საქართველოში დიქტატურას. ამის საშუალებას არც ჩვენ მივცემთ და არც ვენი დასავლელი პარტნიორები, რომლებიც მყარად დგანან ჩვენ გვერდით, ვგულისხმობ არა ოპოზიციას, არამედ საქართველოს და ქართველ საზოგადოებას.

– ამ პროცესში რა შენიშვნა გაქვთ ხელისუფლებასთან?

– ის, რაც პირდაპირ ცხადად და თვალნათლივ გამოჩნდა – ორმაგი სტანდარტი. როდესაც კანონი ყველასთვის ერთი არ არის! როდესაც სამართალი ყველასთვის ერთი არ არის ანუ სამართლიანი არ არის. ამის უამრავი მაგალითია, შენიშვნები მაქვს უსამართლო ჯარიმებზე. პირველი პოლიტიკური ჯარიმა „ლეიბორისტებს“ 9 ათასი ლარის ოდენობით დაგვაკისრეს, როდესაც ბრფინგი აქციათ „გაასაღეს“.

– გადაიხდით?

– არ ვაპირებთ. ჩვენ სამართლებრივად ვიბრძოლებთ მის გასაუქმებლად. არაპროპორციულად მაღალი ჯარიმაა, მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჯარიმა საქართველოშია დაწესებული. ვაპირებ კამპანია დავიწყო გამოწერილი ჯარიმების წინააღმდეგ და ათას ლარამდე შესამცირებლად. მე მესმის, რომ ჯარიმა მკაცრი უნდა იყოს, რომ მან იმუშაოს, მაგრამ ადეკვატურობის ფარგლებში და, რაც მთავარია, საარსებო წყარო არ უნდა დაუკარგოს მისმა გადახდამ ადამიანებს. პროპორციულ ჯარიმაზეა საუბარი და არა მის გაუქმებაზე.

გოჩა ბარნოვი: „პროცესებს დღესაც პატრიარქი მართავს“

„საპატრიარქო იღებს დივიდენდებს, იღებს სერიოზულ ძალაუფლებას და გავლენას ხელისუფლებაზე“

იაგო ნაცვლიშვილი

გასულ კვირას თეოლოგ გოჩა ბარნოვს უცნობი პირი თავს დაესხა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და მოსთხოვა, საპატრიარქოზე კრიტიკული განცხადებები აღარ გააკეთოს. შემთხვევა „ტვ პირველთან“ ინტერვიუს შემდეგ მოხდა. თეოლოგმა განცხადება პოლიციაში შეიტანა. იქამდე კი ის მწვავედ აკრიტიკებდა საპატრიარქოს იმის გამო, რომ ის არ ხურავდა ტაძრებს მრევლისთვის და არ მოახდინა ამით ვირუსის გავრცელების პრევენცია.

რა მოხდა ინციდენტის დროს? რატომ ფიქრობს, რომ საპატრიარქოდან მიუგზავნეს უცნობი პირი, რა ინფორმაციას ფლობს საპატრიარქოს შიგნით ბრძოლებზე და ვინ მართავს დღეს პროცესებს, რეალურად რა გავლენა აქვს პატრიარქს და მართავს თუ არა პროცესებს უშუალოდ ილია მეორე? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თეოლოგი **გოჩა ბარნოვი** საუბრობს.

– მოუყევით ჩვენს მკითხველს, რა მოხდა?

– გასული კვირის სამშაბათ საღამოს მე მქონდა ინტერვიუ „ტვ პირველთან“ და ინტერვიუს მსვლელობისას უცნობი პირი ამოვარდა პარკში, როდესაც ინტერვიუს ვაძლევდი და ვსაუბრობდი, მაგრამ მეორე პირმა, მისმა ახლობელმა გაათრია და მაშინ არაფერი მომხდარა. როდესაც დავასრულე ინტერვიუ და ჟურნალისტს ველაპარაკებოდი, მოვარდა მეორედ, ამჯერად უკვე მარტო. ჯერ ოპერატორისკენ გაიწია და შემდეგ წამოვიდა ჩემკენ. მომმართა კითხვებით, თუ ვინ ვიყავი, რატომ ვაძლევდი ინტერვიუს და რატომ ვსაუბრობდი საპატრიარქოს მისამართით კრიტიკული ტონით. მან მითხრა, რომ მე აღარ უნდა მიმეცა ინტერვიუ.

მე ვკითხე, თქვენ ვინ ხართ-მეთქი და ეს რომ ვუთხარი, ამის შემდეგ დამარტყა სახეში, სათვალე მომძვრა. სანამ დავიხარე და სათვალე ავიღე, მანამ უკვე გაყვანილი ჰყავდათ. ეტყობა, მისი ახლობლები მოვარდნენ და გაიყვანეს. ამის მერე აღარ მინახავს. ერთი დღე ვაცადე, ველოდი, რომ მოვიდოდა და დამელაპარაკებოდა. მე ნამდვილად არ მინდოდა პოლიციაში განცხადების გაკეთება, მაგრამ მე მივხვდი, რომ ეს იყო მოგზავნილი „ტიტუშკა“, თორემ უბრალო გამვლელს რაში აინტერესებს, რა ინტერვიუს აძლევს გოჩა ბარნოვი ტელევიზიას?!

ეს იყო „ტვ პირველთან“ დაკავშირებული საქმეც და მე რომ არ განმეცხადებინა პოლიციაში, შესაძლოა ბრალი დანაშაულის დაფარვისთვის წაეყენებინათ ჩემთვის, ამიტომ განვაცხადე პოლიციაში. ჩემს ადვოკატთან ერთად ვიყავით მისული პოლიციის სამმართველოში.

– ეს ინციდენტი კადრებშიც არის დაფიქსირებული?

– არა, კადრებში არ ჩანს. იმიტომ, რომ ოპერატორს კამერა უკვე გამორთული ჰქონდა.

– მოწმეები გყავთ ალბათ, რომ შემთხვევა მოხდა. ასეა?

– კი, „ტვ პირველის“ ჟურნალისტები – ჟურნალისტი, ოპერატორი და მძღოლი.

– თავდამსხმელი ითხოვდა, რომ საპატრიარქოზე კრიტიკული განცხადება არ გაგეკეთებინათ?

– დიახ. ითხოვდნენ, რომ უნდა შემეჩერებინა ეს და ინტერვიუები აღარ უნდა მიმეცა. ცალსახად ჩანს, რომ ეს მოგზავნილია. 100%-იანი სიზუსტით ვერ ვამბობ ამას, მაგრამ დიდი ალბათობით ის იყო მოგზავნილი საპატრიარქოდან. მათ ყველა უბანში ჰყავთ თავისი ხალხი.

– აქამდე არ გინახავთ და სხვაგან არ შეგხვედრიათ აღნიშნული პირი?

– არა. არასოდეს.

– დაახლოებით ერთი წლის წინ იყო, როდესაც სასულიერო სემინარიიდან გაგიშვეს, მას შემდეგ საპატრიარქოდან რაიმე რჩევები თუ გზავნილები არ ყოფილა, რომ გაჩუმებულიყავით და ამის ნაწილი ხომ არ იყო თქვენზე თავდასხმა?

– არა, პირადად ჩემზე ასეთი არაფერი ყოფილა, მაგრამ ამ ინციდენტს საპატრიარქოდან გზავნილს ვუკავშირებ. რა თქმა უნდა, ეს ვარაუდია და გადაჭრით ვერ ვიტყვი.

– ანუ ამ ერთი წლის მანძილზე თქვენთან არავითარი კომუნიკაცია არ ყოფილა საპატრიარქოდან?

– არა. არავითარი.

– ქვეყნისთვის უფრო მნიშვნელოვან და მასშტაბურ საკითხებზე როგორია თქვენი შეფასება, რატომ გაჯიუტდა საპატრიარქო და რას იღებს ამით ის?

– საპატრიარქო იღებს დივიდენდებს, იღებს სერიოზულ ძალაუფლებას და გავლენას ხელისუფლებაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ის კარნახობს სიტუაციას და ასევე იღებს გარკვეულ ფინანსებს. აშკარად უკვე თეოკრატიის ნიშნებია, რაც არღვევს საქართველოს კონსტიტუციას, კერძოდ კი, კონკორდატს, რომლითაც გამიჯნულია ეკლესიის და სახელმწიფოს ფუნქციები. ეს ერთი მხრივ საპატრიარქოს ყველანაირ პირობას უქმნის იმისთვის, რომ რაც უნდათ, ის აკეთონ, იმიტომ, რომ თითქმის ყოველ წელს არჩევნებია, ამიტომაც ამ ძალაუფლების გაგრძელების მიზნით და საპატრიარქოს დახმარების ხარჯზე ხმების მოხვეჭის მიზნით, ისინი საპატრიარქოს ენის მოჩლეფით ელაპარაკებიან.

საპატრიარქოც იყენებს ამას. თუნდაც, საპატრიარქოს ტყეები უნდა გადაეცეს და. ა. შ. ურთიერთგამორჩენის საკითხი.

– ტყეების გადაცემის საკითხი იყო საპატრიარქოს მიზანი ამ ვითარებაში?

– რა თქმა უნდა, ერთ-ერთი საკითხი იყო ტყეების გადაცემა. ვაჭრობა მიდიოდა. წარმოიდგინეთ, რომ როდესაც ასეთი საშიში ვითარებაა ვირუსის გავრცელების მხრივ, საპატრიარქომ და მისმა მესვეურებმა გამოძებნეს დრო ხელისუფლებასთან ვაჭრობისთვის. საპატრიარქოს პოლიტიკა აჩვენებს, რომ ისინი ამ დივიდენდებს მიიღებდნენ, მაგრამ მაინც არ დაკეტავდნენ მრევლისთვის ტაძრებს.

– იმას ვერ ხვდებიან, რომ მრევლის ნაწილს და ავტორიტეტს კარგავენ თავისი ქმედებების გამო?

– სამწუხაროდ, მრევლის ნაწილის დაკარგვა ძალიან ნელი ტემპით მიდის. ვიღაცები ხვდებიან, რომ საპატრიარქო კარგად არ იქცევა. ძალიან ბევრი სასულიერო პირი მირეკავს და მადლობას მეუბნება, რომ მათ სათქმელსაც ვამბობ. ყველა ვერ ბედავს საპატრიარქოს წინააღმდეგ წასვლას, მაგრამ მრევლის დიდი ნაწილი ნაკლებად რეაგირებს ამაზე. მრევლის უმეტესობა ფანატიკურ მდგომარეობაშია და თითქოსდა ღრმად მორწმუნეობის დონეზე, მაგრამ რეალურად ეს არის ფანატიზმი და ამას ქრისტიანობასთან საერთო არაფერი აქვს.

გარდა ამისა, ამ შემთხვევაში არის პატრიარქის ერთგვარი ბოღმა იმის გამო, რომ ხელისუფლებამ დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმე ისე არ შეკერა, როგორც ეს საპატრიარქოს უნდოდა. როცა ასეთი მომენტებია, იქნება დივიდენდების მიცემა და ათასი უბედურება, რაც ნორმალურ სახელმწიფოში არ უნდა არსებობდეს. ხელისუფლება საპატრიარქოს წინაშე აბსოლუტურად უძლურია. გამკაცრებული ზომების მიღება სწორედ საპატრიარქოს დესტრუქციული ქმედებების გამო მოხდა.

„ტვ პირველის“ ეთერში ანდრია ჯაღმაიძის ინტერვიუ ადასტურებდა ზუსტად იმას, რომ მათ არანაირი პოზიცია და არანაირი სამართლებრივი უფლებები არ გააჩნდათ იმისა, რომ ამგვარი ნაბიჯები გადაედგათ.

– ხსენებული ინტერვიუდან გამოჩნდა და შემდეგ პროცესებმაც აჩვენა, რომ საპატრიარქომ მაინც შეარბილა ოდნავ პოზიცია აღდგომასთან დაკავშირებით და აღარ იყო ისეთი ხისტი, როგორც მანამდე გვესმოდა.

– იმიტომ, რომ ინფექციონისტებმა საკმაოდ მკაცრი განცხადებები გააკეთეს და ისეთი ზომები იყო მიღებული, რაც ძალიან ზღუდავს ადამიანის უფლებებს და იზღუდებოდა გადაადგილების საშუალება, ამიტომ ნაწილობრივ საპატრიარქომაც დაიხია უკან და გარკვეულწილად დათმობაზე წავიდა, მაგრამ ეს მაინც არ არის რეალური დათმობა. ვხედავთ, რომ სამი ადამიანის ერთ სივრცეში ყოფნის პრინციპი მაინც დარღვეულია. დისტანციია როგორც არ უნდა იყოს დაცული ტაძარში, იქ სამ კაცზე მეტია და ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ დარღვეულია ის რეგულაცია, რაც სახელმწიფოს მიერ არის გამოცემული.

ამას რა ეშველება, არ ვიცი. ვნახეთ, რომ ზოგიერთმა ეპისკოპოსმა წირვა დილით ჩაატარა, მაგრამ ეს აბსოლუტურად არაფერს არ ცვლის, რადგან სამი კაცის პრინციპი ყველა შემთხვევაში ირღვევა.

– ცალკეული ეპისკოპოსების განსხვავებული პოზიციები მოვისმინეთ, ეს რაზე მიანიშნებს, რომ საპატრიარქოში აზრთა სხვადასხვაობაა?

– რა თქმა უნდა. ვადასტურებ, რომ საპატრიარქოში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

– ბოლო პერიოდში გამოჩნდა, რომ სხვადასხვა ჯგუფია საპატრიარქოში. გამოჩნდნენ მეუფეები, რომლებიც შედარებით უფრო რაციონალურად უდგებიან საკითხებს და არიან ისინი, ვინც საკუთარი გავლენისთვის იბრძვის. ამ შემთხვევაშიც იყო თუ არა შიგნით გარკვეული დაპირისპირება და ბრძოლა, თუ რომელი აზრი გაიმარჯვებდა?

– არა, დაპირისპირებები არ ყოფილა, უბრალოდ, ზოგიერთმა ეპისკოპოსმა მეტ-ნაკლებად რბილი პოზიცია დაიკავა და თქვა, რომ ღამე აღარ ჩაატარებდა წირვას და ჩაატარა დილით.

– რაც საჯაროდ გაცხადდა, ვიცით, მაგრამ შიგნიდანაც ხომ არ გაქვთ რაიმე ინფორმაცია?

– არა, ამ შემთხვევაში არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, რომ ეპისკოპოსებს შორის შეიძლება ყოფილიყო დაპირისპირება. ამას ნამდვილად გავიგებდი. არანაირი დაპირისპირება არ ყოფილა, უბრალოდ, მათ თავისი ინიციატივით გააკეთეს ეს განცხადება. რა თქმა უნდა, ეს უკეთესი პოზიციაა, ვიდრე საპატრიარქოსი, მაგრამ საერთო ჯამში ბევრი არაფერი შეცვლილა ამით.

– საერთოდ, როგორი ვითარებაა საპატრიარქოში, რომელი ჯგუფია დღეს ყველაზე გავლენიანი?

– საპატრიარქოში, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი გავლენა პატრიარქის და შორენა თეთრუაშვილის ჯგუფს აქვს, ისინი კარნახობენ სიტუაციას საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას.

– ამ ჯგუფშია მეუფე შიოც?

– რა თქმა უნდა. შიოც ამ ჯგუფშია და მათი კარნახით იმართება პროცესები.

– მეუფე იაკობი ვის ჯგუფშია?

– მეუფე იაკობიც მანდ არის.

– მეუფე იობი?

– იობი თავისთვის არის, მაგრამ იობი იმდენად მხდალია, რომ კრიტიკულ მომენტში ყოველთვის პატრიარქის პოზიციას იკავებს. ეპისკოპოსთა დიდი ნაწილი არის კორუმპირებული, არის სავსე კომპრომატებით და ამას შორენა თეთრუაშვილი იყენებს ძალიან ოსტატურად. როდესაც რომელიმე ეპისკოპოსი მოინდომებს რაიმეს გაპროტესტებას, ან სხვანაირად წარმოჩენას, მაშინვე მათ ამ კომპრომატებს უდებენ წინ და მათ აჩერებენ. ეს არის ამ სინოდის მთელი პრობლემა. ამ სინოდის ეპისკოპოსთა 95% უნდა გადადგეს და წავიდეს, სხვანაირად საქართველოს ეკლესიაში არაფერი არ შეიცვლება. ეს სინოდი ქართველ ერს კარგს არაფერს მოუტანს.

– რამდენიმე დღის წინ თეოლოგმა ბექა მინდიაშვილმა თქვა, რომ საზოგადოებამ საპატრიარქოს გადაყენება უნდა მოითხოვოს პატრიარქის მეთაურობითო. იზიარებთ ამ პოზიციას თუ განსხვავებული ხედვა გაქვთ?

– რა თქმა უნდა, ამ აზრს ვემხრობი, მაგრამ რამდენად ეფექტური იქნება ამ ხელისუფლების პირობებში, არ ვიცი. შეიძლება დარჩეს 3-4 ეპისკოპოსი, რომლებიც თავისი აზროვნებით პროდასავლურები არიან. თუ გადაყენებულთა შორის იქნება აუცილებლად მეუფე შიოც, მაშინ დავეთანხმები. აუცილებელია, რომ სწრაფად მოხდეს ახალი სინოდის შეკრება, ახალი კანდიდატების დასახელება, რომლებიც იქნებიან განათლებული ხალხი. ამასთან არ არის საჭირო ამდენი ეპისკოპოსი, 15-მდე ეპისკოპოსი სავსებით საკმარისია, საქართველოს ეკლესიას მეტი არ სჭირდება. შემდეგ უნდა მოხდეს ამ სინოდის მიერ პატრიარქის არჩევა და სინოდმა უნდა დაიწყოს ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობა, რადგან უამრავი პრობლემაა გადასაწყვეტი საქართველოს ეკლესიაში.

– დღეს პატრიარქი მართავს პროცესებს რეალურად თუ დღეს მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ნომინალური ფიგურაა?

– მართავს. ნუ გგონიათ, რომ ვერ მართავს. მას ფიზიკურად არ შეუძლია გადაადგილება, თორემ პროცესებს ეგ და შორენა მართავენ, რა თქმა უნდა, მოსკოვის დირექტივებით. მოსკოვის ფაქტორის გამორიცხვა არაფრით არ შეიძლება. მოსკოვიდან ხდება ყველა დირექტივის მიღება. რა თქმა უნდა, აქვთ შიდა ინტერესებიც, რასაც მოსკოვს არ უთანხმებენ, მაგრამ სტრატეგიულ საკითხებში, ყველაფერს მოსკოვს უთანხმებენ.

შორენა თეთრუაშვილი არის ადამიანი, რომელიც პირდაპირ მოსკოვთან არის კავშირზე.

რუსეთი აფხაზეთზე რეგიონის სახელმწიფოებთან ველარ გარიგდება

რა ინფორმაციას ავრცელებს საქართველოს შესახებ კრემლის პროპაგანდა?

მარიამ მჭედლიშვილი

კოვიდ-ინფექციამ მსოფლიოში პოლიტიკური პროცესები დაამუხრუჭა, თუმცა სამყარო არ გაჩერებულა.

მსოფლიო ლიდერების ინტერესის საგნად ისევ რჩება ის რეგიონი, რომლის ნაწილად ითვლება საქართველო. მიმდინარე და პოტენციური მოვლენები პირდაპირ თუ ირიბად ეხება საქართველოს, მის მომავალსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

დასავლელი ექსპერტების თქმით, ძლიერდება აშშ-ის აქტიურობა კვიპროსში, რაც ეწინააღმდეგება თურქეთის ამბიციებს. ფაქტობრივად, კვიპროსში იქმნება ახალი ცხელი წერტილი ანკარისათვის.

ვაშინგტონმა მოხსნა ემბარგო კვიპროსის რესპუბლიკისათვის. ითვლება, რომ ეს გადაწყვეტილება მიმართულია ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთში თურქეთის ექსპანსიის თავიდან ასაცილებლად. ანკარას გაუჩნდა თავსატეხი იმაზე, როგორ შემოაბრუნოს პროცესები თავის სასარგებლოდ.

ოფიციალური ცნობით, ამ დღეებში აშშ-ისა და თურქეთის პრეზიდენტებმა ტელეფონით ისაუბრეს კორონავირუსის ინფექციაზე, ნატოს ფარგლებში სოლიდარობაზე მასთან ბრძოლაში, ასევე ჩვენი რეგიონის პრობლემებზე.

ვაშინგტონის სურვილია, რომ კვიპროსმა თავის პორტებში შესვლა აუკრძალოს რუსეთის გემებს. ნიკოსია ამისაგან ჯერჯერობით თავს იკავებს. ამერიკული იარაღის შესყიდვის ჯერ საკითხიც არ გადაუწყვეტია.

რაც არ უნდა მოხდეს, აშშ-ის გააქტიურება რეგიონში აშკარაა. მუშავდება გაყოფილი კვიპროსის ორზონიან ფედერაციად გადაქცევის გეგმაც.

ეს იმას ნიშნავს, რომ სამი თვის წინ, თურქი სამხედრო ანალიტიკოსის მიერ აფხაზეთის თაობაზე ნავარაუდევი გარიგება იფუშება.

ამ სქემის თანახმად, ერთმანეთთან დაახლოებული თურქეთი და რუსეთი გარიგებაზე წავიდოდნენ – რუსეთი (ან მის მიერ ოკუპირებული აფხაზეთი) აღიარებდა კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას, თურქეთი კი – აფხაზეთს.

ის, რაც კვიპროსში ხდება, აშშ-სა და საბერძნეთს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგია. 2019 წლის ბოლოს ამ სახელმწიფოებმა მოილაპარაკეს, რომ აშშ გააძლიერებდა თავის სამხედრო ბაზებს საბერძნეთში და შექმნიდა ახალ ობიექტებს. ამას უნდა მოჰყოლოდა ემბარგოს მოხსნა კვიპროსისათვის იარაღის მიწოდებაზე.



ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილი ენერგორესურსებით მდიდარი ადგილია. აშშ, საბერძნეთი, კვიპროსი და ისრაელი რეგიონში ენერგეტიკულ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

საბერძნეთი, კვიპროსი და ისრაელი აპირებენ გაზსადენის მშენებლობას, რომლითაც გაზს ევროპას მიაწვდიან.

ეს ყველაფერი გულზე არ ეხატება რუსეთს, რომელიც, კორონაკრიზისის მიუხედავად, არ თმობს გავლენის სფეროებს არც პოსტსაბჭოთა სივრცეში და არც ახლო აღმოსავლეთში.

კრემლთან აფილირებული ანალიტიკური ცენტრები და ფონდები ნერგავენ აზრს, რომ პანდემია და მისი შემდგომი პერიოდი შექმნის კარგ ნიადაგს საბჭოთა კავშირის აღდგენისათვის. იურისტების ჯგუფები სერიოზულად მუშაობენ საბჭოთა კავშირის დაბრუნებაზე. მათთვის ევრაზიული ეკონომიკური კავშირი და რუსეთ-ბელარუსის საკმარისი არ არის.

კრემლის პროპაგანდის თანახმად, პოსტსაბჭოთა სივრცეში კორონავირუსუსგან ეკონომიკურად ყველაზე დაზარალებული საქართველოა, ვინაიდან ის ტურიზმზეა დამოკიდებული.

რუსული პროპაგანდა აქტიურდება იმ დროს, როცა დასავლელი ექსპერტები პუტინის კრახზე საუბრობენ. მათი აზრით, რუსეთის ხელისუფლებამ თვითონ გამოიწერა რევოლუციის რეცეპტი. პუტნი ბუნტის წინაშე დადგა მას შემდეგ, რაც რუსეთს საგრძნობლად შეუმცირდა სანავთობო შემოსავლები და დაუცარიელდა ბიუჯეტი. პუტნის მართვის 20-წლიან პერიოდში ამ ოდენობის კრიზისები არ ყოფილა. კრიზისები გააღრმავა პუტინის პოლიტიკურმა შეცდომებმა, რასაც რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებიც მოჰყვა.

მკვლელობა ვარკეთილში

19 აპრილს ვარკეთილში, კობცოვის ქუჩაზე, ცივი იარაღით შუახნის მამაკაცი მოკლეს. სავარაუდოდ, მომხდარს, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე დაპირისპირება უძღოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული გ.ვ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მისსავე უბანში მცხოვრებ მამაკაცს – 1973 წელს დაბადებულ ა.ა.-ს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული ჭრილობების შედეგად, ა.ა. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

აღდგომის აღნიშვნისთვის შსს-მ ვარკეთილში 6 პირი დააკავა

19 აპრილს შსს-მ ვარკეთილში 6 პირი დააკავა. როგორც შსს-ში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, მოქალაქეების დაკავება საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტის დარღვევისთვის მოხდა. არსებული ინფორმაციით, მოქალაქეთა ჯგუფი ვარკეთილში აღდგომას აღნიშნავდა, როდესაც მათთან პოლიცია მივიდა და სიტყვიერი გაფრთხილება მისცა. აღნიშნულს მოქალაქეები არ დაემორჩილნენ და პოლიციას დაუპირისპირდნენ. საბოლოოდ პოლიციამ მოქალაქეები დააკავა. ადგილზე სამართალდამცველთა რამდენიმე ეკიპაჟის მობილიზება გახდა საჭირო. შსს-ს ინფორმაციით, 2 პირი დაკავებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით, ხოლო 4 – ადმინისტრაციული კოდექსის 173-ე მუხლით.

ლაშა გოგია და გია გულორდავა ციხიდან გამოუშვეს



ზუგდიდის ყოფილმა მერმა და ვიცე მერმა საპატიმროები ვადაზე ადრე დატოვეს.

ლაშა გოგიასა და გია გულორდავას პატიმრობა შინაპატიმრობით შეეცვალათ და ისინი უკვე საკუთარ სახლებში იმყოფებიან.

ინფორმაცია „კურიერს“ პენიტენციურ დაწესებულებაში დაუდასტურეს.

უწყებაში ამბობენ, რომ გადაწყვეტილება სულ 50 პირს შეეხო.

– 2020 წლის აპრილში შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებით, 50 მსჯავრდებულს, მათ შორის მსჯავრდებულებს ლ.გ.-ს და გ.გ.-ს (ვინც მოიხადა სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლით დადგენილი ვადა) მოსახდელად დარჩენილი სასჯელი შეეცვალათ უფრო მსუბუქი სასჯელით – შინაპატიმრობით, – განაცხადეს პენიტენციურ სამსახურში.

ზუგდიდის ყოფილი მერი და მისი პირველი მოადგილე 2019 წლის ივნისში სასამართლომ ჯგუფურად დიდი რაოდენობით ქრთამის აღებაში დამნაშავედ ცნო და 2-2 წელი პატიმრობა, 4-4 წელი კი პირობითი მსჯავრი მიუსაჯა.

ისინი 2018 წლის ნოემბერში დააკავეს, უფრო ადრე კი მათ თანამდებობები დატოვეს. პატიმრობაში მყოფი ყოფილი მაღალჩინოსნები გარკვეული პერიოდის განმავლობაში შაბათკვირის სახლში გატარების უფლებითაც სარგებლობდნენ.

„ტელევიზორს უყურებდა, როცა უცებ ფანჯარა ჩაიმსხვრა და ტყვია პირდაპირ თავში მოხვდა“

თამუნა ანთელავას მკვლელობისთვის პოლიციელი სიმონ გაბრიაძე დააკავეს

19 აპრილს ტრაგედია დატრიალდა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე.

საკუთარ საცხოვრებელ სახლში მყოფ ქალს თავის არეში ბრმა ტყვია მოხვდა და ადგილზე მოკლა.

გარდაცვლილი ქალი ცნობილი მომღერლის, თიკა მახალდიანის დედა, თამუნა ანთელავაა.

– წარმოუდგენელი ტრაგედიაა. აღდგომის დღეს ამას ვერავინ წარმოვიდგენდით. კარანტინის გამო სახლიდან არ გასულა. მე-6 სართულზე ცხოვრობს. ტელევიზორს უყურებდა, როცა უცებ ფანჯარა ჩაიმსხვრა და ტყვია პირდაპირ თავში მოხვდა. სასიკვდილო ჭრილობა აღმოჩნდა. ყველანი შოკში ვართ. თიკა ძალიან ცუდადაა. ვინ ისროლა, არ ვიცით.

პოლიცია, კრიმინალისტები ყველანი ადგილზე გაჩნდნენ და გირკვევა, რა მოხდა და ვის ეკუთვნის იარაღი. ეს შესანიშნავი ადამიანი ვისმა ტყვიამ იმსხვერპლა, – უთხრა პრაიმტაიმს ოჯახის ახლობელმა.

ოჯახის ახლობლების ინფორმაციით, გასროლა მაკაროვის სისტემის პისტოლეტიდან მოხდა.

– დაკავებულია ვიღაც, შორიდან მოხდა გასროლა, ნახევარი კილომეტრიდან, როგორც ვიცით. ადამიანი იჯდა სახლში, ტელევიზორთან და მოხვდა ტყვია, ალბათ, მთვრალმა გაისროლა. გვითხრეს, რომ 550 მეტრიდან გაისროლესო მაკაროვიდან, ნუცუბიძის ქუჩიდან, – განაცხადა ოჯახის ახლობელმა.

გუშინ, 20 აპრილს, პროკურატურამ განცხადება გაავრცელა.

პროკურატურის ინფორმაციით, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა სიმონ გაბრიაძემ

საკუთარი საცხოვრებელი ბინის აივნიდან განახორციელა ცეცხლსასროლი იარაღიდან უმისამართო გასროლა. გასროლილი ტყვია თავის არეში მოხვდა მიმდებარე კორპუსში მცხოვრებ თამუნა ანთელავას, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა. იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა დანაშაული ჩადენილი ყოფილიყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ, გამოძიების საწყის ეტაპზევე სისხლის სამართლის საქმე გამოსაძიებლად გადმოეცა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს.

საქმეზე განხორციელდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ჩატარდა ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა. ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული იქნა გასროლილი ტყვიის მასრები და ცეცხლსასროლი იარაღი.

ექსპერტების მიერ განხორციელდა ნიმუშების აღება. მოწმის სახით გამოიკითხა არაერთი პირი. საქმეზე აქტიურად გრძელდება გამოძიება და ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება.

სიმონ გაბრიაძე ბრალდებულის სახით დაკავებულია საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით), რაც ითვალისწინებს თავისუფლების შეზღუდვას, მათ შორის, მაგალითად, შინაპატიმრობას, პირობით მსჯავრს – ვადით 5 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით 2-დან 4 წლამდე.

იურისტების თქმით, მუხლი, რომლითაც გამოძიება დაიწყო, საკმაოდ მსუბუქია და პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაულის პროპორციული არ არის.

სააკაშვილის ბიბლიოთეკაში ხანძრის გაჩენისთვის ბაჩო ქათამაძე დააკავეს

19 აპრილს სააკაშვილის ბიბლიოთეკაში ხანძარი გაჩნდა.

აღნიშნულის გამო, პოლიციამ ბაჩო ქათამაძე დააკავა. ამის შესახებ ნათქვამია შსს-ს ოფიციალურ განცხადებაში. მისი მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბაჩო ქათამაძე, ცეცხლის წაკიდებით ნივთის დაზიანების ან განადგურების ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მიმდინარე წლის 19 აპრილს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-5 განყოფილებაში შემოვიდა მოქალაქის შეტყობინება, რომ მ.სააკაშვილის სახელობის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში ხანძარი იყო.

შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომლები და სამართალდამცველები. პირველადი ინფორმაციით, ხანძრის შედეგად დაიწვა ბიბლიოთეკის პირველი სართული.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველომ მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დაიწყო.

პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბაჩო ქათამაძე ცხელ კვალზე დაიკავა.

საქმეზე დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ცეცხლის წაკიდებით ნივთის დაზიანების ან განადგურებას გულისხმობს.

ჩხოროწყუში მამაკაცმა მეზობელი და საკუთარი და დაჭრა

ჩხოროწყუში მამაკაცმა მეზობელი დაჭრა, შემდეგ კი დაზიანება საკუთარ დას მიაყენა. აღდგომის საღამოს, სავარაუდოდ, ურთიერთდაპირისპირების შედეგად ძმამ ცივი იარაღით ჯერ მეზობელი დაჭრა, შემდეგ კი დას მიაყენა დაზიანება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ჩხოროწყუს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ვ.ა., ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, ჩხოროწყუში დააკავეს.

დანაშაული 9-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხოროწყუში, ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დანით ორი ადამიანი დაჭრა. დაჭრილების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ინციდენტის დროს დაჭრილი მამაკაცი ქუთაისის რეფერალურ ჰოსპიტალშია მოთავსებული. მამაკაცს ჭრილობა კისრის არეში ბასრი საგნით აქვს მიყენებული.

კლინიკის სამედიცინო დირექტორის დავით ჯანაშიას ინფორმაციით, პაციენტს ჭრილობა კისრის არეში აქვს, ოპერაცია ჩაუტარდა და მისი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

– 19 აპრილს შემოიყვანეს 29 წლის მამაკაცი, კისრის არეში ჭრილობით, დაზიანებული აქვს პლევრა და შუასაყარი, მაგისტრალური სისხლძარღვები. ჩაუტარდა ოპერაცია, იმყოფება რეანიმაციულ განყოფილებაში, ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციაზე, პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია, – განაცხადა დავით ჯანაშიამ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 139 ფაქტი გამოავლინა

პოლიცია, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულების და ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 139 ახალი ფაქტი გამოვლინდა. პოლიციამ, 19 აპრილის 21 საათიდან 20 აპრილის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით 85 მოქალაქე დააჯარიმა.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრების და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის გამო, სულ 19 მოქალაქე დააჯარიმეს

სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე კიდევ 35 პირი დააჯარიმეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

გერმანიამ ჩინეთს კოვიდ 19-ის გამო 130 მილიარდი ევრო მოსთხოვა

კორონავირუსის პანდემიისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, გერმანიამ ჩინეთს 130 მილიარდი ევროს ანაზღაურება მოსთხოვა.

ინფორმაციას ბრიტანული გამოცემა „ექსპრესი“ ავრცელებს. გამოცემის ცნობით, გერმანია კიდევ ერთი სახელმწიფოა, რომელმაც დიდი ბრიტანეთის, აშშ-ისა და საფრანგეთის შემდეგ კოვიდ 19-ის პანდემიის გამო პირდაპირი იერიში ჩინეთზე მიიტანა.

ამასობაში გერმანიაში 20 აპრილიდან კორონავირუსის გამო დაწესებული შეზღუდვების ნაწილობრივ მოხსნა დაიწყო. კერძოდ, ქვეყანაში მცირე ზომის მაღაზიები, წიგნის მაღაზიები, ავტომომსახურების ცენტრები და ველოსიპედების მაღაზიები გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულმა დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყოს სოციალური დისტანცია მომხმარებლებსა და დასაქმებულებში.

რაც შეეხება სხვა შეზღუდვების მოხსნას, დაწესებულებები, სადაც 1.5 მ დისტანციის შენარჩუნება შეუძლებელია, ჯერჯერობით დახურული რჩება.

4 მაისიდან იგეგმება სილამაზის სალონების გახსნა, ხოლო რაც შეეხება ბარებს, რესტორნებსა და კაფეებს, ფეხბურთის მატჩებსა და კონცერტებს, ისინი 31 აგვისტომდე იკრძალება.

20 აპრილისთვის გერმანიაში კოვიდ 19-ის 145.743 შემთხვევა იყო დაფიქსირებული. ვირუსს ქვეყანაში 4.642 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

რეზო ესაძე 86 წლის ასაკში გარდაიცვალა

რეჟისორი, მსახიობი, სცენარისტი და მხატვარი რეზო ესაძე 86 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ინფორმაცია რეჟისორმა ელდარ შენგელაიამ გაავრცელა:

– ჩემი ძვირფასი რეზოც აღარ არის. საქართველომ დიდი რეჟისორი და უნიჭიერესი კაცი დაკარგა. რამდენი კარგი მოგონება გვაკავშირებს, რა დათვლის. სამწუხაროდ, ვერ გემშვიდობებით ისე, როგორც გეკუთვნის. მშვიდობით, ჩემო რეზო.

რეზო ესაძემ მთელი ცხოვრება ქართულ კულტურას მიუძღვნა. მას მონაწილეობა აქვს მიღებული 122 ფილმში. თვითონ კი, როგორც რეჟისორმა, 11 ფილმი შექმნა.

– მე თვითონ არ ვიცი, რას ნიშნავს რეალობა და რას ნიშნავს სიზმარი და ცხადი. ხელოვნებაში არსებობს ერთი ენა – გულის ენა, რა ენითაც არ უნდა ლაპარაკობდეს ხელოვანი. სიტყვიერ ფილმს მე სიტყვის ენით არ აღვიქვამ, აღვიქვამ გულის ენით. ჟესტის ენაც დადის საერთო ესპერანტომდე, რომელსაც გულის ენა ჰქვია, – ამბობდა რეზო ესაძე.

მისი სადებიუტო ფილმი იყო „ერთხელ“, უკანასკნელი ნამუშევარი კი „ჭერი ანუ დაუმთავრებელი ფილმის მასალა“ აღმოჩნდა.

რეზო ესაძეს 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნეს.

თავის ცხოვრებისეულ კრედოს ძალიან მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ აყალიბებდა:

– არ ყოფილა წამი, სამშობლოს ტკივილით არ ვყოფილიყავი დაზაფრული. განა ჩემი შემოქმედება, ლექსი ან ნახატი, ამის გამოხატულება არ არის?

თბილისის კინოფესტივალზე ქართულ კულტურაში შექანილი წვლილისთვის რეზო ესაძეს პრიზი გადასცეს, რაზეც მადლიერმა ხელოვანმა ქართველ ხალხს დაუჩოქა.

ხელოვანს კიდევ ბევრი დარჩა სათქმელი და შესაქმნელი:

– ჩემი სიცოცხლის უკვე ტანმსხვილ ხეზე ღამეები ხეებზე მეტად შრიალებენ, რადგან ყველაფერი ღამეებში მოხდა, როცა ვისგანაც დღე მტკიოდა, ყველას ეძინა. დღეები ყრუდ მიდიან. სული ვერც ერთ ყვავილობას ვერ იხსენებს. ასე მოვდივარ მწყრალი შარით, სადაც ცხელი ყინულის გაღმა გახურებული ქვები ქშუიან და დამშრალი ტალღების ფსკერზე თევზის ლანდი თამაშობს... გასახსენებელი და სათქმელი ბევრია, ძალიან ბევრი.

რომის პაპი, პირველად ბოლო 1 თვეში, ვატიკანიდან გამოვიდა

19 აპრილს რომის პაპმა ფრანცისკემ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ვატიკანი პირველად დატოვა და საკვირაო ღვთისმსახურება მახლობელ სანტო სპირიტოს ტაძარში შეასრულა.

როგორც რომის პაპმა ქრისტიანებისადმი მიმართვისას აღნიშნა, ახლა მსოფლიოში უსამართლობისგან განკურნების დროა, რადგან ის ძირს უთხრის მთლიანად კაცობრიობის ოჯახის ჯანმრთელობას.

– ახლა, როდესაც ჩვენ პანდემიის პროცესში ნელი და მძიმე გამოჯანმრთელების იმედი გვაქვს, არის საშიშროება, რომ გასაჭირში მყოფებს დავივიწყებთ. არის საშიშროება, რომ შეიძლება კიდევ უფრო უარესი ვირუსი შეგვეყაროს და ეს არის ეგოისტური გულგრილობა. ვირუსი ვრცელდება ფიქრიდან, რომ ცხოვრება უკეთესია, თუკი ჩემთვის არის კარგი და ყველაფერი კარგად იქნება, თუ მე ვარ კარგად, – აღნიშნა რომის პაპმა.

პაპმა ქადაგებისას ხაზი გაუსვა, რომ პანდემია გვასწავლის, არ არსებობს საზღვრები და განსხვავება მათ შორის, ვინც იტანჯება.

საფრანგეთის პრემიერი: „ქვეყანა ჩვეულ რიტმს დიდხანს ვერ დაუბრუნდება“

საფრანგეთის პრემიერ-მინისტის თქმით, ქვეყანა ცხოვრების ჩვეულ რიტმს კიდევ დიდხანს ვერ დაუბრუნდება.

ედუარ ფილიპის განცხადებით, ქვეყანამ პიკი გადაირა, თუმცა ეს შვების საფუძველს არ იძლევა.

– იმის წარმოდგენა, რომ მდგომარეობა უმჯობესდება, შეცდომაა, – აღნიშნა ფილიპმა.

საფრანგეთი 11 მაისიდან კორონავირუსის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივად მოხსნას იწყებს, თუმცა სამი მთავარი პრინციპი, სოციალური დისტანცირება, მასშტაბური ტესტირებები და ინფიცირებულთა იზოლაცია კვლავ ძალაში რჩება.

20 აპრილისთვის საფრანგეთში კოვიდ 19-ის 152.894 შემთხვევა იყო აღრიცხული. ვირუსის ახალი შემთხვევების რაოდენობა ქვეყანაში ბოლო დღეების მანძილზე მცირდება.

გიორგი კეკელიძემ ესპანეთში კორონავირუსით გარდაცვლილი ქართველი ქალის მეორე შვილსაც სტიპენდია დაუნიშნა

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ ესპანეთში კორონავირუსით გარდაცვლილი ქართველი ქალის მეორე შვილსაც გურული დღიურების ფონდის სტიპენდია დაუნიშნა:

– მის დას უკვე დავუნიშნეთ სტიპენდია რამდენიმე დღის წინ. ეს ბიჭუნა თქვენ სულისშემძვრელი ვიდეოდან გაიცანით და გახსოვთ მეორეკლასელი გიორგი ნაჭყებია სამტრედიიდან. საოცარი ამბავი ის არის, რომ ეს სააპრილო სტიპენდია, გადაწყვეტილი გვქონდა, ნინი ჯაფარიძის სახელობის ყოფილიყო და იქნება კიდეც, შარშან მშობიარობის გართულებისას გარდაცვლილი შესანიშნავი გოგონასი, რომელთან ერთადაც წიგნის ჩუქების დღეზე ვმუშაობდით. შვილი, საბედნიეროდ, გადარჩა, გვარად ისიც ნაჭყებიაა. ამაზე სულაც ახლა, ამ სიახლის წერისას დავფიქრდი. მაშინ მე გარდაცვლილ ნინის დავპირდი, რომ აუცილებლად დავუნიშნავდით მისი სახელობის სტიპენდიას ვინმეს 23 აპრილის წიგნის დღისთვის.

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს და გავიყვანთ ფონს.

მოკლედ, გიორგი ნაჭყებია გურული დღიურების ფონდის ნინი ჯაფარიძის სახელობის სტიპენდიატია. ამჯერად შემომწირველი ჯგუფ „წიგნის ჭიების“ სახელით ბექა ერიაშვილია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ოლაპარაკე სექსთოჯინამ ოჯახი დანგრევას გადაარჩინა

ამერიკის ტეხასის შტატში მცხოვრები ოჯახი ფიქრობს, რომ ისინი განქორწინებას სექსთოჯინამ, სახელად კამილამ გადაარჩინა.

48 წლის დერის მაქსიმ და მისმა მეუღლემ, 45 წლის შელიმ თოჯინა დაახლოებით ორი წლის წინ შეიძინეს.

– კამილამდე საშინელი ურთიერთობა გვქონდა, – ამბობს შელი, – თავს ზედმეტად ვგრძნობდი და ეს არ მომწონდა.

მისი თქმით, დერისმა კამილა მას შემდეგ შეუკვეთა, რაც მათგან სხვა ქალი წავიდა.

– თავდაპირველად არ ვიცოდი, რა მეფიქრა, ვინაიდან წარმომედგინა ვულგარული გასაბერი თოჯინა, – ამტკიცებს შელი.

შენაძენი რეალური მანეკენი გამოდგა, რომლის ფასი შვიდი ათასი დოლარია და რომელიც უჟანგავი ფოლადისა და პლასტიკატისგან არის დამზადებული. თოჯინას ასამდე სიტყვის წარმოთქმა შეუძლია და მობილური ტელეფონით იმართება.

ახლა დერი და შელი კამილას ოჯახის წევრად მიიჩნევენ. მათ თოჯინა მაშინაც თან მიაქვთ, როდესაც რესტორანში მიდიან. დერის კი კამილა სამსახურშიც დაჰყავს. შელის აზრით, კამილა მის მეუღლეზე დადებითად მოქმედებს.

– დერისი მასთან ჩვენს ურთიერთობაზე მსჯელობს, – ამბობს ქალი, – საუბრის შემდეგ ის საკუთარ გრძნობებში ერკვევა და შემდეგ მეც მიხსნის.

იაპონიაში 6,4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

გუშინ, 20 აპრილს, იაპონიაში 6,4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. ეპიცენტრი ქალაქ სენდაიდან 120 კილომეტრის მოშორებით, კუნძულ ჰონსიუზე იყო.

მიწისძვრას მასშტაბური ნგრევა არ მოჰყოლია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ინგლისის ქალაქში ალბინოსი ციყვი შეინიშნეს

უიშვიათესი ალბინოსი ციყვი მოხვდა ვიდეოჩანაწერზე, რომელიც ინგლისის კენტის საგრაფოს ქალაქ ფავერსამის ერთ-ერთი სახლის ეზოშია გადაღებული. სახლის პატრონი ქალბატონის მიერ გადაღებული ვიდეო, ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

სახლის პატრონმა სახელად საბრინამ, რომ პირველად ციყვი სახელად ფიფქია 2019 წლის მარტში გამოჩნდა. მას შემდეგ ის რეგულარულად ბრუნდა მის ეზოში სასუსნავისთვის.

ვიდეოზე თეთრი ფერის ციყვმა ეზოში გადაირბინა და ლურჯი ფერის ყვავილის ქოთანზე შეხტა. ის შეჩერდა იმისთვის, რომ მიწა დაეყნოსა. შემდეგ ჩანს, რომ მან იქ რაღაც იპოვნა და შეჭამა, რის შემდეგაც გზა განაგრძო.

თავად საბრინას თქმით, ის ციყვს ყოველთვის უტოვებს თხილს, ხოლო ჩიტებს საკვებს უყრის.

– აქ სიმშვიდეა. ამიტომ ვფიქრობ, რომ მას ჩვენთან მოსწონს. აქ ბევრი ხეა, რომლებზეც ის თავისუფლად და სწრაფად დახტის. ის მეტად დელიკატურია, – განაცხადა ეზოს პატრონმა. მან ასევე აღნიშნა, რომ თეთრი ციყვი ჩვეულებრივ თანამოძმეებთან შედარებით უფრო პატარა ტანისაა.

– ჩვენ აქ ხსირად ვხედავთ კურდღლებს, ხოხბებსა და ციცარებს, მაგრამ ფიფქია უნიკალურია, – აღნიშნა საბრინამ.

პრინცმა ჰარიმ სამეფო გვარზე უარი თქვა

ბრიტანეთის პრინცმა ჰარიმ ტურისტული ინიციატივის Travelyst-ის რეგისტრაციის დროს სამეფო გვარზე უარი თქვა. Travelyst-ის სარეგისტრაციო საბუთებში ჰარი დასახელებულია „პრინც ჰენრი ჩარლზ ალბერტ დევიდი, სასექსის ჰერცოგად“. მითითებული არ არის არც მისი გვარი არ მიმართვა „მისი სამეფო უდიდებულესობა“. რომლის გამოყენება მას სამეფო პრივილეგიებზე უარის თქმამდე შეეძლო.

ჰარიმ Travelyst-ის შექმნის თაობაზე განცხადება ჯერ კიდევ 2019 წელს გააკეთა. ინიციატივა მოწოდებულია დაეხმაროს იმ ტურისტებს, რომლებსაც სურთ მათი მოგზაურობის დროს ბუნებისთვის მიყენებული ზიანი შეამცირონ.

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

დუდა სანაძე: „ძალიან რთულია სახლის პირობებში სასურველი ფორმის შენარჩუნება“

საქართველოს ეროვნული ნაკრების სნაიპერი, დუდა სანაძე იზოლაციაში კუსტარულად დამზადებულ ბურთებს უბადლოდ ისვრის. რაც შეეხება დრიბლინგს, პორტუგალიური ოლივეირენსეს ლიდერი ჩვეულებრივ ბურთს იყენებს და სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად იზოლაციაში ვარჯიშობს. ერთი თვის მანძილზე სახლში მყოფი სანაძის საუკეთესო გასართობი ონლაინ-თამაშებია, რაშიც მისი მთავარი პარტნიორი ბექა ბურჯანაძეა. იზოლაციაში მყოფი დუდა თავის ყოველდღიურობაზე პორტუგალიიდან საუბრობს...

პორტუგალიის ჩემპიონატის ბედი

უკვე დაახლოებით 1 თვეა, რაც ვარჯიშები და ამასთან ერთად პორტუგალიის უმაღლესი ლიგა და ყველა ჩემპიონატი ოფიციალურად შეწყდა. ელოდებიან სიტუაციის დასტაბილურებას და რამდენადაც ინფორმირებულები ვართ, ამ თვის ბოლოს იგეგმება შეხვედრა, სადაც ყველაფერი საბოლოოდ უნდა გადაწყდეს – გაგრძელდება სეზონი თუ ყველაფერი დასრულდება. დღევანდელი გადმოსახედიდან წარმოუდგენლად ჩანს კალათბურთის და ზოგადად ნებისმიერი შეჩერებული აქტივობის გაგრძელება, თუმცა თავად გუნდებს და მოთამაშეებს დიდი სურვილი აქვთ ჩემპიონატების განახლების. ვიცით, რომ ეს ჩვენზე არაა დამოკიდებული და ამიტომ ველოდებით ეპიდემიის გავრცელების ტემპების შეჩერებას და იმედს ვიტოვებთ, ამ სეზონში ისევ მოგვიწევს თამაში.

მოგებული თასის შემდეგ ჩემპიონობას ვგეგმავთ

ოლივეირენსე პორტუგალიის ბოლო 2 სეზონის ჩემპიონია. რა თქმა უნდა, დიდი სურვილი გვქონდა, ზედიზედ მესამედ მოგვეგო ტიტული. ამის პოტენციალი ჩვენს გუნდს ნამდვილად აქვს, რაც ცოტა ხნის წინ ქვეყნის თასის მოგებით დაამტკიცა. პორტუგალიაში ეს ტიტული ჩემთვის პირველი იყო. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანიც.

მიხარია, რომ შედეგიანი თამაშით გუნდს წარმატების მოპოვებაში დავეხმარე. კონკურენტები ტრადიციულად პორტუ, ბენფიკა და სპორტინგი არიან, თუმცა ჩვენ მზად ვართ საჩემპიონო ტიტულის დასაცავად და თუკი თამაშები გაგრძელდა, უპირველესი მიზანი პირველი ადგილის მოპოვება იქნება.

იზოლაციაში ვარჯიში

ძალიან რთულია სახლის პირობებში სასურველი ფორმის შენარჩუნება. მართალია, ყოველდღიურად ვვარჯიშობ და მწვრთნელის ყველა დავალებას ვასრულებ, მაგრამ დარბაზისა და სახლის ვარჯიშები ერთმანეთისგან ცა და დედამიწასავით განსხვავდება. გვაქვს აპლიკაცია, სადაც შესაბამისი მწვრთნელები ყოველდღიურად დებენ ვარჯიშებს, რომლებსაც სახლში ვასრულებთ. მე მარტო ვცხოვრობ და ეს გარკვეულწილად მეხმარება, კონცენტრაცია ვარჯიშებზე უფრო მეტად მოვახდინო.

ვითარება ქალაქში და იზოლაციის მკაცრი დაცვა

ოლივეირენსეში ეპიდემიოლოგიური კუთხით საგანგაშო ვითარება არაა. კორონავირუსამდეც აქ ნაკლები აქტივობა იყო. პატარა ქალაქია და სამუშაო დღეებშიც კი არ იყო გადატვირთული ქუჩები. უფრო რთული ვითარებაა დიდ ქალაქებში – პორტოში, ლისაბონში, ოვარში....

თუ განსაკუთრებული შემთხვევა არაა, სახლს არ ვტოვებ. მარკეტში კვირაში ერთხელ გავდივარ და იმდენ პროდუქტს ვყიდულობ, რომ 7 დღის განმავლობაში მეყოს. მოგეხსენებათ, მაღაზიებში ვირუსის გავრცელების რისკი დიდია და რომ გავდივარ, ყველანაირად – ხელთათმანებით, პირბადით, ნიღბით ვარ აღჭურვილი. სხვა გზა არაა, უნდა გავიჭირვოთ და დავიცვათ ყველა აუცილებელი რეკომენდაცია, რათა ეპიდემია მალე დასრულდეს.

მარტო სახლში

ძალიან რთულია, როცა მთელი თვე სახლში და თან მარტო ხარ. ვცდილობ, არ მოვდუნდე და სულ დაკავებული ვიყო. როგორც გითხარით, ვარჯიშს დიდ დროს ვუთმობ. ასევე გამოვიწერე ონლაინ კურსები და ვსწავლობ ჩემთვის საინტერესო საგნებს. მნიშვნელოვან დროს ვუთმობ კომპიუტერულ თამაშებს და ეს გართობაში დიდად მეხმარება. ესაა და ეს, რისი გაკეთებაც ბოლო ერთი თვეა, მიწევს.

დუდა და ბექა ბურჯანაძე – თანამებრძოლები ვირტუალურ ომში

როგორც გითხარით, ვიდეოთამაშები არის ის ერთადერთი გასართობი, რომლითაც დროის იოლად გაყვანაა შესაძლებელი. მე და ბექა ბურჯანაძე თითქმის ყოველდღიურად ონლაინ ვთამაშობთ. ძირითადად, საქვეყნოდ პოპულარულ „ქოლ ოფ დათის“ და იმდენად შევეწყვეთ, ხუმრობით ვამბობდით, ომი რომ დაიწყოს, ალბათ საუკეთესო თანამებრძოლები ვიქნებითო. თამაშში ხშირად გვიერთდებიან თორნიკე შენგელია და ვიქტორ სანიკიძეც.

ონლაინ-კომუნიკაციები

ჩვენი ნაკრების წევრებიც იზოლაციაში არიან და ყველა თითქმის სულ ინტერნეტში, ონლაინზეა. აქედან გამომდინარე, ხშირი კომუნიკაცია გვაქვს ერთმანეთთან, თუმცა, ონლაინ-თამაშებიდან გამომდინარე, როგორც გითხარით, ყველაზე ხშირად ბექასთან, თოკოსთან და ვიკასთან მიწევს კომუნიკაცია. ყოველდღიურად ვეკონტაქტები ჩემი ოჯახის წევრებს, შეყვარებულს და, რა თქმა უნდა, მეგობრებს.

რაგბის სანაკრებო მატჩები წელს აღარ გაიმართება

მსოფლიო რაგბის მმართველმა ბილ ბომონტმა განაცხადა, რომ კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული სიტუაციის გამო, 2020 წლის სანაკრებო მატჩების გაუქმების რეალური შესაძლებლობა არსებობს.

„მსოფლიო რაგბის“ წამომადგენლებმა განაცხადეს, რომ რაგბის განახლების რამდენიმე ვარიანტზე მუშაობდნენ, მათ შორის კი 2020 წლის სანაკრებო მატჩების დაგეგმილი კალენდრით ჩატარებაზე, რომელიც მთავრობის და ჯანდაცვის სფეროს რჩევებს დაექვემდებარებოდა. ამის მიუხედავად, მიმდინარე გლობალური გაურკვევლობის და ფრენების აკრძალვის ფონზე, ბომონტმა განაცხადა, რომ წელს სანაკრებო მატჩების გამართვა შესაძლოა ვეღარ მოხერხდეს.

ბილ ბომონტი:

– მატჩების არ ჩატარების შესაძლებლობა საკმაოდ მაღალია, წნეხი რაგბის კავშირებზე სულ უფრო იზრდება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სხვა მატჩებთან ერთად დიდი შანსია გაუქმდეს საქართველოს ნაკრების წელს გასამართი ყველა ტესტ-მატჩიც. შეგახსენებთ, რომ ივლისში „ბორჯღალოსნები“ სამხრეთ აფრიკას უნდა სწვეოდნენ, სადაც ადგილობრივ კლუბებთან და მოქმედ მსოფლიო ჩემპიონ, სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან უნდა ეთამაშათ. გარდა ამისა, ნოემბრის ტესტებზე დაგეგმილი იყო საფრანგეთთან სტუმრობა, დარჩენილი 2 მეტოქე კი მოგვიანებით უნდა დადასტურებულიყო.

გეტყვით იმასაც, რომ 12 მაისს „მსოფლიო რაგბის“ საპრეზიდენტო არჩევნებია, რომელშიც ბიმონტს მისივე მოადგილე აგუსტინ პიშო დაუპირისპირდება.

ლაპორტა ისევ პრეზიდენტობისთვის იბრძოლებს

ბარსელონას ყოფილმა პრეზიდენტმა, ჟოან ლაპორტამ, მედიასთან საუბარში დაადასტურა, რომ კლუბის 2021 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. მანვე კლუბში არსებულ ეკონომიკურ პრობლემებზე ისაუბრა.

ჟოან ლაპორტა:

– კლუბში დაბრუნებას მოუთმენლად ველი, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. არსებობს პროექტი, რომელიც ძალიან მომწონს. ამჟამად, იმ ადამიანების შეკრებით ვარ დაკავებული, რომელსაც ვენდობი, რადგან არსებული ეკონომიკური სიტუაციის შემოსატრიალებლად, სერიოზული ფიქრი დაგვჭირდება. კლუბი ძალიან დეღიკატურ ვითარებაშია. მნიშვნელოვანია, წარმოვადგინოთ სარწმუნო და რეალისტური სპორტული პროექტი, რომელიც ენთუზიაზმს შექმნის და ჩვენს ინსტიტუციონალურ იმიჯს გააუმჯობესებს. შემართული ვარ, კლუბის დელიკატური ეკონომიკური მდგომარეობა გარანტიებზე დაფუძნებული შეთავაზებით შემოვატრიალო. საკითხს სიღრმისეულად ვიცნობ და ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

ლაპორტა ბარსას პრეზიდენტი 2003-10 წლებში იყო. სწორედ ეს პერიოდი ითვლება კატალონიური კლუბის აღმავლობის ხანად, პეპ გვარდიოლას ხელმძღვანელობით ბარსა მსოფლიოს მწვერვალზე იყო.

ჟოანის პრეზიდენტობის პერიოდში კლუბს უნიკალური მიღწევა ჰქონდა. კატალონიელებმა, ერთ კალენდარულ წელში 6 ტიტული მოიპოვეს. ასეთი შედეგი ისტორიაში არც ერთ კლუბს არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, 2015 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე იგი ხოსეპ მარია ბართომეუსთან დამარცხდა.

ლაპორტა საბჭოს ყოველთვის ღიად აკრიტიკებდა, განსაკუთრებით, ტრანსფერებისა და ფინანსების არამიზნობრივად გამოყენების გამო.

იგი კრუიფის ფილოსოფიის მიმდევარია, როდესაც ნეიმარის ტრანსფერზე კითხვა დაუსვეს, მან უპასუხა, რომ პირველ რიგში, კრუიფის სტილის ფეხბურთელის დამატებას ეცდებოდა.

ჟოანი ასევე გვარდიოლას მეგობარია. როგორც თავად ამბობს, იგი პეპის დარწმუნებას შეძლებს და „კამპ ნოუზე“ აუცილებლად დააბრუნებს.

საპრეზიდენტო არჩევნები 2021 წლის ზაფხულში გაიმართება.

მოამზადა
მასეიდ ელორეოლიანმა

მესის ხინჯად გრამენეტი გაპყვება

მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელ ლეო მესის ერთი პატარა ხინჯი მუდამ გაჰყვება გულში. საქმე ის არის, რომ ბარსელონური კარიერის განმავლობაში, ლიონელ მესიმ 44 კლუბიდან, რომლის წინააღმდეგაც ესპანეთის მასშტაბით უთამაშია, 43 დაამარცხა და მხოლოდ ერთ კლუბთან ვერ მოახერხა გამარჯვება. დიდი ალბათობით, ამას ვერც მომავალში მოახერხებს.

15 წლის წინ, როდესაც მესი ბარსაში პირველ ნაბიჯებს დგამდა, კატალონიელები კოპა დელ რეის ერთ-ერთ ადრეულ ეტაპზე გრამენეტს დაუპირისპირდნენ, რომელიც მაშინ სეგუნდა დივიზიონში ასპარეზობდა.

თუ ამ გუნდის შესახებ არაფერი გსმენიათ, ეს აბსოლუტურად ნორმალურია. უნიონ დეპორტივა ატლეტიკო გრამენეტ მილანი 1945 წელს კატალონიაში დაარსდა, ამჟამად კი სეგონა კატალანაში თამაშობს.

2004 წელს გამართულ გრამენეტთან მატჩში, რომელიც „ბლაუგრანამ“ 0:1 წააგო, მესი, ისევე, როგორც კარლეს პუიოლი, ჩავი ერნანდესი, ანდრეს ინიესტა და ჯოვანი ვან ბრონხოსტი, ძირითად შემადგენლობაში მოხვდნენ.

ბარსელონას დამარცხების შემდეგ, კატალონიურმა კლუბმა მეოთხედფინალამდე მიაღწია, საიდანაც ბეტისმა გამოაგდო.

ესპანეთის ჩემპიონატში თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე, ლეგენდარულ არგენტინელს გრამენეტთან რევანშის საშულება მეტოქის მდგომარეობიდან გამომდინარე, არ მისცემია. დიდი ალბათობით, მესი მას ვეღარ შეხვდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ არაესპანური გუნდებიდან მესის გამარჯვება მხოლოდ ნაპოლისთან არ მოუპოვებია, რომელთანაც მიმდინარე სეზონის ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის განმეორებითი დაპირისპირება აქვს ჩასატარებელი, სადაც ნეაპოლელების დამარცხების დიდი შანსი ექნება, თუ ეს მატჩი საერთოდ შედგება.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრულია გემით ტვირთის გადაზიდვის ღირებულება; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. ქართული გაზეთი; 4. ყველაზე დიდი მდინარე ევროპაში; 5. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 8. სამრეწველო რაიონი გერმანიაში; 9. მელვინეობა-მევენახეობის ოლქი იტალიაში; 10. იტალიელი კინორეჟისორი; 12. თემის, გვარის წინამძღოლი სვანეთში; 13. ადამის ერთ-ერთი ვაჟიშვილი, მოღალატე ადამიანის სინონიმი; 15. უმარტივესი ერთუჯრედიანი ცხოველი.

თარაზულად: 1. კახეთში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის ფრანგული ჯიში; 6. ფარიკაობა ძველად საქართველოში; 7. მოძრავი სცენა თეატრში; 10. ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი; 11. ხეობა სტეფანწმინდას რაიონში; 13. შოკოლადის ხე; 14. წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი; 16. მდინარე თბილისში; 17. კუთხე საქართველოში; 18. „ფორმულა-1“-ში მოასპარეზე ფინელი ავტომრბოლელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჭყვიში; 2. „დუკლა“; 3. კუჭი; 5. ჭორფლი; 6. პლაცი; 7. ნოვაცია; 11. „მოსტრა“; 13. კეიტონი; 14. „იტამი“; 15. ქაშვეთი; 16. კამბუზი; 17. „კოდაკი“; 19. ივერი; 20. გიდი.

თარაზულად: 1. ჭადრაკი; 4. ჭენჭი; 8. ჭაობი; 9. „რომა“; 10. ისლამი; 12. ფარლული; 14. იუტა; 15. ქალამანი; 16. კოალა; 18. ნავთი; 21. დანია; 22. „ზანდური“; 23. „რეკორდი“.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფესი; 2. ობი; 3. პანიტერია; 4. მზისა; 5. „მაზურკა“; 8. ლირა; 9. რეგენტი; 10. ნაკამურა; 12. ილუზია; 13. ოპაკი; 15. ტვიში.

თარაზულად: 1. „ფიდელიო“; 6. მალვაზია; 7. სალდო; 10. „ნაიკი“; 11. ფრაჟე; 13. ოპერა; 14. პეტრა; 16. „ზარა“; 17. „არაბიკა“; 18. ფაზისი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1361

ევრო — 3.4111

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.9142

100 რუსული რუბლი — 4.2319

ამინდის პროგნოზი 21 აპრილისთვის

ბერა საზოგადოებას პატარა კლიპებით გაახალისებს

მომღერალმა ბერა ივანიშვილმა გადაწყვიტა, სახლში იძულებით გამოკეტილი საზოგადოება პატარა კლიპებით გაახალისოს. ვიდეოებში ბერას გარდა მონაწილეობას მისი ოჯახის წევრები – მეუღლე ნანუკა და პატარა ბერუკაც მიიღებენ:

– მინდა გაცნობოთ, რომ ჩვენი ოჯახი დღეიდან იაქტიურებს თიკთოკ-ის პლატფორმაზე. ფეისბუქს მხოლოდ მნიშვნელოვანი განცხადებებისთვის გამოვიყენებთ.

ვეცდებით, ჩვენი პატარა კლიპებით ამ რთულ დროს სახლში იძულებით ყოფნა ცოტა გაგიხალისოთ!

დავით ფოცხიშვილი ყაზბეგურში ჰიპ-ჰოპის და ბრეიქ-დანსის ელემენტების შეტანის წინააღმდეგია

ქორეოგრაფი დავით ფოცხიშვილი აპროტესტებს ქართულ ცეკვა ყაზბეგურში ჰიპ-ჰოპისა და ბრეიქ-დანსის ელემენტების შეტანას:

– სირცხვილია! ცეკვა ყაზბეგურში ნუ შეგავთ ჰიპ-ჰოპის და ბრეიქ-დანსის ელემენტები. არ უხდება, არა! უკვე უამრავმა პროდიუსერმა და უცხოელმა მოცეკვავემ მითხრა.

ქართულ ცეკვას ტრა.ის თამაში არ უხდება. სამთიულურო ცეკვის ილეთების სირთულეები, სიღრმეები, დინამიკა და ჟილკა საერთოდ დაიკარგა. მერე ეს მალამბოს ცეკვის ილეთები რა უბედურებაა! ამოიღეთ ეს კოჭების გაშკურკვა ცეკვებიდან და კვერცხების ხოხიალი.

იუმორი

ექიმი ექთანს ეკითხება:

– ვინ გაუკეთა ავადმყოფს სანთელი უკანა ტანში?

– მე.

– და ანთებული რატომაა?

– დაბადების დღე აქვს.

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს, ერთი მეორეს ეუბნება:

– გილოცავ, ცოლი მოგიყვანია. როგორაა საქმე?

– ნუ იტყვი, პატრულის თანამშრომელია...

– მერე, რა მოხდა?

– რა და ქორწილის პირველივე ღამეს ორი ჯარიმა გამომიწერა...

– კი მაგრამ რისთვის?

– სიჩქარის გადაჭარბების და არასწორად გაჩერებისთვის.

•••

ფსიქიატრიულიდან გამოსულ მამაკაცს ნათესავები ულოცავენ. მამაკაცი პასუხობს:

– რას მილოცავთ, ალექსანდრე მაკედონელი შევედი და როლანდიე დოლიძე გამევედი.

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– აბა რეა ქენი, მართვის მოწმობის გამოცდა ჩაბარე?

– არ ვიცი... ინსტრუქტორი დაიღუპა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ედენ აზარი: „მწყობრში მალე ჩავდგები“

მადრიდის რეალის ბელგიელმა ნახევარმცველმა ედენ აზარმა განაცხადა, რომ ის თავს კარგად გრძნობს და ტრავმას მალე მოიშუშებს.

აზარის თქმით, მას ფეხბურთი ძალიან მოენატრა, თუმცა ჯერჯერობით არ იცის, როდის დაბრუნდება მინდორზე:

– ტრავმა იმაზე ადრე მოვირჩინე, ვიდრე ველოდებოდი და რამდენიმე კვირაში ბოლომდე მზად ვიქნები სათამაშოდ, მაგრამ როდის დავბრუნდები, არავინ იცის. მესმის, რომ ამჟამად ფეხბურთი მეორეხარისხოვანია, მაგრამ მაინც მინდა, რომ მალე ყველაფერი რიგზე იყოს. ყველას მოგვენატრა საყვარელი საქმის კეთება.

ჩემპიონთა ლიგა სავარაუდოდ ივლისის ბოლოს განახლდება

ინგლისურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უეფამ ჩემპიონთა ლიგის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და ეს ტურნირი ივლისის ბოლოს განახლდება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კორონავირუსი ზაფხულამდე არ ჩაცხრება.

უეფა მზად არის, რომ აგვისტო მთლიანად ევროტურნირებს დაუთმოს და ყველა ტურნირი ბოლომდე დაასრულოს. თუ ეს გეგმა ვერ განხორციელდა, შესაძლოა ევროტურნირები ანულირდეს, თუმცა უეფას ამის გაკეთება არ სურს.

მილანს დეიან ლოვრენის შეძენა სურს

მილანს ლივერპულის ხორვატი ცენტრალური მცველის დეიან ლოვრენის შეძენა სურს, რომელიც ბოლო პერიოდში იშვიათად ხვდებოდა ლივერპულის ძირითად შემადგენლობაში. ლოვრენს ლივერპულის დატოვება სურს და მილანში გადასვლა მისთვის კარიერის გადახალისების კარგი შესაძლებლობა იქნებოდა.

მილანი მზად არის, ლოვრენის ტრანსფერში 23 მილიონი გადაიხადოს, თუმცა ლივერპული 30 მილიონს ითხოვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

დავით არჩვაძემ პეტრე კოლხის კიდევ ერთი ლექსი აამღერა

კომპოზიტორმა და მომღერალმა დავით არჩვაძემ მამა პეტრე კვარაცხელიას, იგივე პეტრე კოლხის პოეზიიდან კიდევ ერთი ლექსი აამღერა.

„პეტრე“ – ასე ეწოდება ლექსს, რომელიც მამა პეტრემ იესო ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფის პეტრეს ინსპირაციით შექმნა. „მე მოვედი, მაპატიე ღალატი, მაპატიე, მაპატიე ყოველი, ჰე, უფალო, დამიფარე მარადის, ვიტანჯები შენი უარმყოფელი.“

ეს სიმღერა დავით არჩვაძემ დღეს მსოფლიოში არსებულ მძიმე მდგომარეობას მიუძღვნა და სპეციალურად შექმნილ ვიდეორგოლშიც სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ვითარების ამსახველი კადრები გააერთიანა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

21 აპრილისთვის

ვერძი – წინააღმდეგობრივი დღეა. პირველი ნახევარი იღბლიანია ახალი ურთიერთობების დასაწყებად. საღამოს პარტნიორთან კონფლიქტს ელოდეთ. **კურო** – კრიტიკული დღეა. მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების იმედად იყავით. იოლად ნურავის მიენდობით. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები თამამად მიიღეთ. **კირჩხიბი** – შესაძლოა მოულოდნელად გამგზავრება მოგიხდეთ. ინტიმურ სფეროში აქტიურობას პლანეტები არ გირჩევენ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ყოველგვარი კომერციული საქმიანობა დაუშვებელია. საყვარელ ადამიანთან ემოციებს ნუ გამოავლენთ. **ქალწული** – ახალი სასიამოვნო ინფორმაცია თქვენს ცხოვრებას შეცვლის. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **სასწორი** – გადახედეთ სამომავლო გეგმებს. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას დღეს ნუ მიიღებთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერი საქმიანობისადმი შემოქმედებითი მიდგომა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ბავშვების ინტერესები გაითვალისწინეთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა. იაქტიურეთ. შემოთავაზებულ წინადადებებზე უარს ნუ იტყვით. **თხის რქა** – იღბლიანი პერიოდია ახალი იდეების რეალიზაციისათვის, ასევე საპირისპირო სქესთან ურთიერთობისათვის. **მერწყული** – სარისკო ფინანსური ოპერაციებისგან თავი შეიკავეთ. სუფთა ჰაერზე გასეირნება სასიკეთოდ წაგადგებათ. **თევზები** – კარგი დღეა საქმიანი შეხვედრებისათვის. ოჯახურ პრობლემებს იოლად მოაგვარებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

მოზარდ მაყურებელთა თეატრი კოტე მახარაძის საავტორო სპექტაკლებს აჩვენებს

24 აპრილიდან ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი სახლში დარჩენილ მაყურებელს კიდევ ერთ ახალ პროექტს შესთავაზებს.

„გაიგე მეტი“ – ასე ეწოდება სიახლეს. ეს არის ერთი მსახიობის თეატრის „ვერიკო“ შემეცნებითი პროექტები მოზარდთათვის.

მოზარდ მაყურებელთა თეატრი კოტე მახარაძის საავტორო სპექტაკლებს საკუთარ ფეისბუქ გვერდზე 24 აპრილს, 4 მაისს და 8 მაისს წარმოადგენს. მაყურებელი ნახავს სპექტაკლებს „რაც მტრობას დაუნგრევია“ – ილია, „ბაგრატიონები“ და „აკაკი“.

შიშველმა მოდელმა ოპტიკური ილუზია შექმნა



მოდელი იტალიელი ბოდიარტ-მხატვრისთვის გაშიშვლდა და მათ საბოლოოდ ოპტიკური ილუზიის შექმნა მოახერხეს. მათი შემოქმედებითი პროცესი ერთ-ერთმა ბრიტანულმა ტაბლოიდმა წარმოადგინა.

ბოდიარტის დახმარებით იოჰანეს შტეტერმა შიშველი ნატურისტი, სახელად ლაურა, ყვითელი ყვავილის ცენტრში მჯდომ პეპელად წარმოადგინა. კადრებში ჩანს, თუ როგორ გადააქვს სურათი მხატვარს შიშველ სხეულზე.

– პოზა ფანქრით ფურცელზე დავიტანე, რის შემდეგაც მისი ტესტირება რეალურ ადამიანზე მოვახდინე, – განაცხადა მხატვარმა, – შემდეგ ცენტრში დიდი სკეტჩი გავაკეთე, დავხატე პეპელა ისეთი, როგორიც წარმოდგენილი მყავდა.

სანამ პეპელას მოდელის სხეულზე გამოსახავდა, შტეტერმა მოამზადა ფონი – მსხვილი ყვითელი ყვავილი ღია მწვანე ბალახზე.

– ჩემს ნამუშევარზე ბევრი შექების გამოხმაურება მივიღე. ბევრმა აღნიშნა, რომ დღეისთვის ის ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია, – აღნიშნა მხატვარმა, რომლის მტკიცებით, ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმამ დიდი დრო და ენერგია წაიღო და ასევე აღნიშნა, რომ გოგონას პეპლად ყოფნა ძალიან მოეწონა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. თხელი, ფურცლოვანი რკინა; 2. მდინარე პოლონეთში; 3. ძვირფასი ქვის, მარჯანის ქართული სახელწოდება; 5. ღვარძლიანი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 6. შვედური ავტომობილი; 7. ჩეხეთის ძველი სახელწოდება; 11. ნივთების შესანახი, ძველებური საკეტებიანი ხის ყუთი; 13. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. ღვინის სასმისი; 15. ფაიფურის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 16. ბრიტანული ნამცხვარი; 17. ავსტრალიური თუთიყუში; 19. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 20. სახელმწიფოში შესვლის ნებართვა.

თარაზულად: 1. ქართული გეოდეზიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი მეცნიერი; 4. ქართველთა სახელწოდება მუსლიმანურ ქვეყნებში; 8. დაბა სიღნაღის რაიონში; 9. გადასახადი მიწით სარგებლობისთვის ძველად საქართველოში; 10. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 12. ვეტექიმის ძველი სახელწოდება; 14. პოპულარული მატონიზირებელი სასმელი; 15. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ინგლისური იუმორისტული ჟურნალი; 18. მამათა მონასტერი; 21. მოკლე ნიჩბიანი სპორტული ნავი; 22. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 23. უნგრელთა მეორე სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა